პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 33-ე წელი

№ 171 (9331)

კვირა 20 ივლისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

## დღეს გაზეთშია

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
მთელი ძალები დავრაზმოთ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის (1-ლი გვერდი).
მჭედელი-ნოვატორი (1-ლი გვერდი).
ქარხნის პარტორგანიზაცია და რაციონალიზატორები (მე-2 გვერდი).
კომუნიზმისათვის თავდადებული მებრძოლი (მე-2 გვერდი).
წერილი რედაქციას (მე-2 გვერდი).
მსოფლიოს ყველა ხალხის ... 19/VII მოწინავე (მე-2 გვერდი).
ახალი ამოცანების დონეზე ... კულტურული და სასპორტო ... შაობა (მე-3 გვერდი).
ფელეტონი — „ბაყრა“ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის

დღეს ფიზკულტურელის საკავშირო დღეა — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდობის ძალისა და ძლიერების, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისა და შრომისათვის მზადყოფნის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ტრადიციული დღესასწაული. ფიზკულტურელის დღე აღინიშნება კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებების ვითარებაში მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე. ეს გამარჯვებანი მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, ახალგაზრდობის აღზრდისათვის კომუნისტური სულისკვეთებით. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი მამობრივ მზრუნველობას იჩენენ ფიზკულტურისა და სპორტისადმი, რომელიც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საშუალებაა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებაში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისა და საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების აუცილებლობას. ამ დადგენილების საფუძველზე საბჭოთა სპორტსმენებმა სერიოზული მიღწევები მოიპოვეს, აიმაღლეს სპორტული ოსტატობა. საბჭოთა ფიზკულტურა და სპორტი მილიონობით მშრომელთა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს. ჩვენი სამშობლოს სპორტსმენებმა არაერთხელ ასახელეს საბჭოთა კავშირი, სასახელოდ დაიცვეს რა მისი სპორტული ღირსება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

გარკვეული მიღწევები აქვთ საბჭოთა საქართველოს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებსაც. შორს გაითქვეს სახელი ქართველმა ფეხბურთელებმა, კალათბურთელებმა, მძლეოსნებმა და სპორტის სხვა სახის ოსტატებმა.

მაგრამ სიბეცე იქნებოდა ცალკეულ სპორტსმენთა და ფიზკულტურულ კოლექტივთა ამ წარმატებების იქით ვერ დაგვენახა დიდი ნაკლოვანებები, ის, რომ საქართველოში ფიზკულტურა და სპორტი უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში არადამაკმაყოფილებლად ვითარდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე სპორტის მთელ რიგ სახეებში ახალი რეკორდი არ დამყარებულა, ძველი არ გაუმჯობესებულა. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობას. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურ კომიტეტში გამეფებული იყო ბიუროკრატიზმი და უპრინციპობა, თვითდამშვიდება, ურთიერთმაამებლობა და მლიქვნელობა. ცხადია, ყოველივე ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დონე ძლიერ ჩამორჩა სოფლად. მართალია, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შექმნილია 1.886 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 127.870 კაცი, მაგრამ ფიზკულტურული კოლექტივების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და არავითარ სასპორტო მუშაობას არ ეწევა. ასეა თიანეთის, კასპის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ხულოს, კაჭრეთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონების კოლმეურნეობებში, სადაც სასპორტო მოედნები და საჭირო ინვენტარიც კი არა აქვთ. ამ რაიონების პარტიული კომიტეტები და რაისაბჭოების აღმასკომები ურიგდებიან ასეთ ჩამორჩენას.

ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებები. განსაკუთრებით ეს ითქმის «სპარტაკისა» და «კოლმეურნის» რესპუბლიკურ საბჭოებზე, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს, არ იბრძვიან მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

ყოველგვარი პირობები გვაქვს იმისათვის, რომ ჩვენში ფიზკულტურული ორგანიზაციები არსებობდნენ და მუშაობდნენ ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, უმაღლეს სასწავლებელში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში. ამ მხრივ დიდი მოვალეობა აკისრიათ პროფესიულ ორგანიზაციებს. სამწუხაროდ, პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები ნაკლებად ზრუნავენ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს მართებს მეტი ყურადღება მიაქციოს პროფკავშირების წევრთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას და აღმავლობას.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა. დაბალია ფიზიკური კულტურის სწავლების დონე საშუალო სკოლებში. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური მომზადების განყოფილებამ კი ჯერაც ვერ აიყვანა თავისი მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე.

ფიზკულტურა და სპორტი კომკავშირის ღვიძლი საქმეა. კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე გადაუდებელ ამოცანად არის დასახული უახლოეს ხანში მოუღონ ბოლო ჩამორჩენას ფიზკულტურასა და სპორტში, მიაღწიონ საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის ახალ აღმავლობას, მოიპოვონ ახალი რესპუბლიკური, საკავშირო და მსოფლიო რეკორდები, შეუპოვრად იბრძოლონ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსებისათვის, ჩვენი დიდი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის სპორტული ღირსებისათვის. კომკავშირის ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა ფიზკულტურა და სპორტი ნამდვილად მასობრივი გახდეს.

ფიზკულტურული კოლექტივების ზრდასთან ერთად აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სპორტის ეროვნული სახეების — ცხენბურთის, ლელოს, ქართული ჭიდაობის და სხვ. განვითარებას, მათ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა, ფიზკულტურის საზოგადოებრივი კადრების მომზადებას.

საჭიროა ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში დავნერგოთ მუშაობის ახლებური, ბოლშევიკური სტილი, საბოლოოდ აღვკვეთოთ თვითდამშვიდება და ყოყოჩობა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შეუფასებლობა.

მივაღწიოთ ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობას, აღვუზარდოთ ჩვენს ქვეყანას მილიონობით ჯანსაღი ჭაბუკი და ქალიშვილი.

### ახალი მოსავლის ჩაი

**ბაქო,** (საკდესი). ლენქორანის ჩაის ფაბრიკაში აზერბაიჯანის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მოდის ჩაის მწვანე ფოთოლი. ფაბრიკამ უკვე გამოიმუშავა 300 ათასი კილოგრამი შავი ბაიხის ჩაი — ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე შარშან ამ დროისთვის.

## მთელი ძალები დავრაზმოთ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის

### პური—სახელმწიფოს

**წითელწყარო.** (ტელეფონით). დაუსრულებელ ნაკადად მოდიან „ზაგოტზერნოს“ წითელწყაროს მიმღები პუნქტებისაკენ მარცვლეულით დატვირთული ავტომანქანები. კოლმეურნეობანი სახელმწიფოს აბარებენ პირველ განალეწ მარცვლეულს. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ ბეჯითი მუშაობის შედეგად რაიონში ყველაზე ადრე შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა.

სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ „ზაგოტზერნოს“ წითელწყაროს მიმღებ პუნქტს უკვე ჩააბარა 490 ტონა ხორბალი. პურის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის, სოფელ მირზაანის მალენკოვის სახელობის და სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობებში.

### რა გვიჩვენა ჯიშთა გამოცდამ

**ლაგოდეხი.** (სპეც. კორ.). რამდენიმე წელია, რაც სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობაში 53 ჰექტარზე სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდა უმთავრესად ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებისათვის. საუკეთესო შედეგი მოგვცა ხორბლის ჯიშმა „ნოვოუკრაინკა 83“. გამოირკვა, რომ ამ ჯიშს არ ახასიათებს ჩაწოლა, არ ავადდება ჟანგათი და გუდაფშუტათი, მაღალხარისხოვან ნამცხვარსაც იძლევა. აღსანიშნავია, რომ ამ ჯიშისაგან ყველაზე მაღალი მოსავალი იქნა მიღებული როგორც შარშან გვალვის პირობებში, ისე წელს ზედმეტი ნალექებისას.

### აღვკვეთოთ კომბაინების მოცდენა

გარდაბნელი მექანიზატორები თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებას ივლისის დასაწყისიდანვე შეუდგნენ. მათ უკვე მომკეს 2.100 ჰექტარი. კარგად მუშაობს კომბაინერი ა. მუსაევი. იგი ყოველდღიურად პურეულის მოსავალს იღებს 20 ჰექტარზე. მის კომბაინზე ფრიალებს მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა. მაღალნაყოფიერად შრომობენ აგრეთვე კომბაინერები გ. დოხტურიშვილი, ა. ნასიბოვი, ი. ბაევი.

არიან ჩამორჩენილებიც: ხ. ნიკოგოსიანი სრული დატვირთვით არ იყენებს კომბაინს. ამის გამო 15 დღეში მხოლოდ 90 ჰექტარი მოსავალი აიღო. პურეულის მკაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ აგრეთვე სართიჭალის მტს-იდან მიმაგრებული კომბაინერები ამხ. ბანცაძე, ჯილაური და ბიწაძე. მათი კომბაინები დიდი შეფერხებებით მუშაობენ. იყო შემთხვევები, როცა დღეში 2,5-3 ჰექტარზე მეტს ვერ იღებდნენ. 14 დღეში თვითეულმა მათგანმა მოსავალი აიღო მხოლოდ 40-50 ჰექტარზე.

ვხვდებით კომბაინერთა ცუდი მუშაობის ფაქტებსაც. მაგალითად, სოფელ გარდაბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში № 1 კომბაინით (კომბაინერი ა. ნასიბოვი) ზოგიერთ ადგილას ყანა მაღლა არის მომკილი, ამის გამო დანაკარგი დიდია.

ზოგ კოლმეურნეობაში სუსტად იბრძვიან მარცვლეულის დანაკარგების წინააღმდეგ. ყანა ბევრგან ჩაწოლილია. კომბაინერები ჩაწოლილი პურის ასაღებ მოწყობილობას არ იყენებენ. კოლმეურნეობებში თავთავის ამკრეფნი მცირე რაოდენობით გამოჰყვეს. 16 ივლისს სოფელ მიხაილოვკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში თავთავის ამკრეფად გამოყოფილი 10 კაციდან მხოლოდ 4 მუშაობდა და ესენიც ზერელედ ასრულებდნენ დაკისრებულ საქმეს. სოფელ ქესალოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში, რომელიც 12 დღის წინათ მოიმკა, თავთავები მხოლოდ ნაწილობრივ არის აკრეფილი. ამასთან ბევრგან ჩაწოლილი პური ამოუმკელია.

დანაკარგებს ვხვდებით პურის გადაზიდვის დროსაც. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ცეკავშირისაგან წელს შეძენილი ახალი ტომრების უმეტესი ნაწილი უვარგისია და ადვილად იხევა.

სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ტომრების უქონლობის გამო ჩასაბარებელ ხორბალს პირდაპირ ავტომანქანაში ყრიან, რაც იწვევს მარცვლეულის დანაკარგს.

გარდაბნის რაიონში პურეულის დანაკარგებთან ბრძოლას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

**გ. გელაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## მოსკოვი—ვოლგა-დონის მშენებლობას

**მოსკოვი.** („კომუნისტის“ კორ.). ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მოსკოვის საწარმოთა კოლექტივებში, ყველა მოსკოველ მშრომელში უდიდესი სიხარული და პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია ცნობამ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის დამთავრებისა და ამ არხის მომავალი გახსნის შესახებ.

ვოლგა-დონელი მშენებლების დიდი წარმატებით მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამაყობენ მოსკოველები იმიტომ, რომ მათს წარმატებაში მოსკოვის საწარმოთა კოლექტივებს მცირე წვლილი როდი აქვთ შეტანილი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვოლგა-დონის მშენებლობისათვის საჭირო დაკვეთების შესრულებაზე მოსკოვის 200-ზე მეტი საწარმო მუშაობდა. ამ საწარმოთა შორის არიან: სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო გიგანტი, კიროვის სახელობის ქარხანა „დინამო“, ქარხანა „კალიბრი“, კუიბიშევის სახელობის სატრანსფორმატორო ქარხანა, „კრასნი პროლეტარი“, საკარბიურატორო ქარხანა, მიტიშჩის მანქანათმშენებლობის საწარმო, სალნადნობთა კომბინატი და ა. შ.

ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობაზე მოსკოვიდან გაგზავნილი აუარებელი სატვირთო და თვითდასაცლელი ავტომანქანა მუშაობდა, მშენებლებმა მოსკოვიდან მიიღეს მძლავრი ტრანსფორმატორები, ელექტრომოტორები, მიწისმწოვი აგრეგატები, კომპრესორები, რაბებთან გასამართავი უნიკალური ელექტრომოწყობილობა ავტომატური რაბვისათვის და სხვ.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სტალინური ეპოქის ამ დიადი მშენებლობის განხორციელებაში მოსკოველმა მეცნიერებმა, ტექნიკის გამოჩენილმა ნოვატორებმა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბრიგადამ, რომელიც მშენებლების დასახმარებლად იყო მივლინებული, მრავალი გაუმჯობესება დანერგა ცალკე სამუშაოთა შესრულების გასაადვილებლად. მაგალითად, დანერგილია არმატურის ელექტროშედუღების ახალი, უფრო მარტივი მეთოდი, სამშენებლო ადგილთა ღამით გაშუქების რაციონალური წესი და ა. შ. წარმატებით გადაიჭრა არხის კალაპოტის გამაგრების საკითხი, შეარჩიეს ადგილები ტალღათსაჭრელი ჯებირების ასაგებად. ყველა ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის სამეცნიერო-ტექნიკური ძალების საუკეთესო წარმომადგენლებმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი გაიხსნება და სამდინარო ხომალდთა ქარავნები გაემართებიან მოსკოვიდან დონის როსტოვისაკენ და იქიდან მოსკოვისაკენ.

ქალაქ გორკში ამ სამდინარო-სანაოსნო მარშრუტზე სამუშაოდ შეუდგნენ დიდი დიზელ-ელექტროგემის მშენებლობას. ამასთან დაწყებულია მთელი რიგი ხომალდების გადაკეთება ვოლგა-დონის მარშრუტისათვის. 27 ივლისს პირველ რეისში გასასვლელად მზად არიან სამდინარო ხომალდები—„პრავდა“, „ნ. ა. ნეკრასოვი“ და „საბჭოთა რესპუბლიკა“.

27 ივლისისათვის დიდი მზადებაა მოსკოვის ნავსადგურში. ამ დღეს აქედან როსტოვისაკენ პირველად გავა სამდინარო ხომალდი, რომელსაც მგზავრად მრავალი მოსკოველი მშრომელი გაჰყვება.



ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. სურათზე: საბუქსირო თბომავალი მე-9 რაბის კამერაში.
ფოტო ს. კროპივნიცკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ადამიანები, რომელთა შრომა მისაბაძია



შალვა მანველიძე

### მჭედელი-ნოვატორი

გრდემლს მძლავრად სცემს სამტონიანი პნევმატიკურიურო. ირგვლივ ურიცხვი ნაპერწკლები იფანტება და გავარვარებულ ლითონს სასურველი ფორმა ეძლევა. უროს მახლობლად მიწაზე გროვად ყრია ათობით დეტალი, რომლებიც ჯერაც არ გაციებულან და ალმური ასდით. მჭედლები გრძელი მაშებით გავარვარებულ რკინის ზოდებს ღუმელიდან ეზიდებიან, ზუსტი, გამიზნული მოძრაობით ტვიფრზე ათავსებენ, რომ უროს მძლავრი დარტყმით საჭირო დეტალი გამოჭედონ. გამოჭედილ დეტალს კი იქვე მიწაზე მარდად აწყობენ. ესენი არიან მჭედელი შალვა მანველიძე და მისი მეუროე სიმონ ბექაური. მათ დაამყარეს სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის კბილანის გამოჭედვის რეკორდი — ცვლაში 8-ის ნაცვლად 60 ასეთი დეტალი გამოჭედეს.

სამუშაო დროის შემჭიდროებით და უნარიანი მუშაობით შ. მანველიძემ ჯერ კიდევ 1948 წელს შეძლო გამომუშავების ნორმის სამმაგად შესრულება. მაგრამ მის დაუცხრომელ სურვილს ეს სრულებითაც არ აკმაყოფილებდა. 1949 წელს შალვა მანველიძემ შეცვალა სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის შპინდელის სადგარის გამოჭედვის წესი, ისეთი სპეციალური მოწყობილობა გამოიგონა, რომლის გამოყენებით ამ დეტალის გამოჭედვა საათნახევრის ნაცვლად შესაძლებელი გახდა 10 წუთში. ეს იყო ახალგაზრდა მჭედლის პირველი რაციონალიზატორული წინადადება, რომლის განხორციელებამ 9-ჯერ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, მთლიანად აღმოფხვრა წუნი, დიდად გააუმჯობესა დეტალის ხარისხი, ნამეტის შემცირებით გააადვილა მისი მექანიკური დამუშავება და ქარხანას ლითონის საგრძნობი ეკონომია მისცა.

მაგრამ მთავარი საზრუნავი იყო სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის კბილანა 65-IIIა-2, რომლის დამზადების ტექნოლოგია ნოვატორს მოძველებულად მიაჩნდა, არ მოსწონდა.

— ეს კბილანა, — ამბობდა იგი, — ჩვენი საამქროს ძირითადი პროდუქციაა, რომელსაც სერიულად ვუშვებთ. მისი გამოჭედვის გაადვილებაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საამქროს წარმატება. მე პირადად ცვლაში 8-ის ნაცვლად 23-25 კბილანას ვამზადებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გაცილებით მეტის დამზადება შეიძლება.

ქარხანაში მიღებული ტექნოლოგიით ეს დეტალი ცხელი დატვიფრვით მზადდება, გამოყენებულია ორი ტვიფრი. ერთი ტვიფრით გახურებული ლითონის ზოდს დეტალის მიახლოებით ფორმას აძლევენ, ხოლო მეორე ტვიფრით აძლევენ საბოლოო სამჭედლო დამუშავებას ანუ დეტალი გამოჰყავთ ზუსტი ზომების დაცვით. თვითეული ტვიფრის გამოყენების წინ სავალდებულოა დეტალის გახურება. საქმე ის არის, რომ ლითონის დამუშავება დიდ ტემპერატურას მოითხოვს. რკინის ზოდი ღუმელში 1.100 გრადუსამდე ხურდება. მაგრამ დამუშავების დროს გრდემლზე იგი სწრაფად ცივდება და თუ ტემპერატურა 800 გრადუსზე დაბლა დავიდა, მჭედელი ვალდებულია დეტალი ხელახლა გაახუროს. ეს საჭიროა იმიტომ, რომ 800 გრადუსზე დაბალი ტემპერატურის დროს ლითონი ძნელი გამოსაჭედია, გამოჭედვის ხარისხი უარესდება (დეტალში ბზარები წარმოიქმნება) და უროც ფუჭდება. ტექნოლოგიური რეჟიმი დეტალის ორჯერ გახურებით ამ კბილანის დასამუშავებლად ერთ საათს ითვალისწინებს, ესე იგი ცვლაში მჭედელმა და მეუროემ ნორმით 8 კბილანა უნდა გამოჭედონ.

შალვა მანველიძემ უკეთესად მოაწყო სამუშაო ადგილი, შემოიღო ღუმელის ერთი კამერიდან რკინის გახურებული ზოდების გამოღებისა და მეორე კამერაში გასახურებელი ზოდების ჩალაგების რაციონალური წესი, გრდემლთან ახლოს, მოხერხებულ ადგილზე დააწყო ტვიფრები, ყოველივე ამით მაქსიმალურად შეამჭიდროვა სამუშაო დრო და პირველი ტვიფრით დეტალის დამუშავება 6 წუთის განმავლობაში შეძლო. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში დეტალის ტემპერატურა მხოლოდ 850-800 გრადუსამდე შემცირდა, ესე იგი დავიდა ისეთ სიმხურვალემდე, როცა ჯერ კიდევ შეიძლება მისი დამუშავების განგრძობა. ამან ნოვატორ მჭედელს საშუალება მისცა გაუხურებლად განევრძო დეტალის დამუშავება მეორე ტვიფრით.

ასეთი ღონისძიების განხორციელებით შალვა მანველიძემ საათში ერთის ნაცვლად 7 კბილანა გამოჭედა. მჭიდელი რომ არ მოცდენილიყო, გამოყენებულ იქნა მეორე ღუმელი, რადგან ერთი ორკამერიანი ღუმელი ვერ უზრუნველყოფდა საჭირო რაოდენობის დეტალების გახურებას. შემდეგში ნოვატორ მჭედლის წინადადებით გააუმჯობესეს სამჭედლო ღუმელების ვენტილაცია, რამაც დეტალის გახურება ერთიორად დააჩქარა.

ამრიგად, მჭედელმა მანველიძემ განახორციელა კომპლექსური ღონისძიება: შრომის სწორი ორგანიზაციით და დამხმარე დროის შემცირებით მაქსიმალურად შეამჭიდროვა სამუშაო დრო, შეცვალა ტექნოლოგიური რეჟიმი — ორის ნაცვლად შემოიღო დასამუშავებელი დეტალის ერთხელ გახურება, გააუმჯობესა სამჭედლო ღუმელის ვენტილაცია, თითქმის ერთიორად გაზარდა მისი წარმადობა და შესაძლებელი გახადა ცვლაში 320 კილოგრამი საწვავის დაზოგვა.

ამ მეთოდით შალვა მანველიძე ამჟამად ცვლაში 60 კბილანის გამოჭედვას ასწრებს და დღიურ ნორმას 750 პროცენტით ასრულებს. ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შალვა მანველიძემ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში მან 20 წლის ნორმა გამოიმუშავა.

ნოვატორი მჭედლის შემოქმედებითი აზრი იბრძვის ახალ სიძნელეთა გადასალახავად, ეძებს სხვა მძიმე დეტალის დამუშავების გაადვილების საშუალებას. სოციალისტური სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული მას ალაფრთოვანებს ამ ნოვატორული ძიებისათვის.

**მ. აროშიძე.**

პარტიული ცხოვრება

# ქარხნის პარტორგანიზაცია და რაციონალიზატორები

ფოთის მიწისმწოვი მანქანების ქარხანა კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთებს ასრულებს. ქარხნის კოლექტივი ძალებს არ იშურებს ამ საპატიო დავალების დროზე და ხარისხიანად შესრულებისათვის.

ქარხნის მუშები, კომუნისტები მრავალი საინტერესო რაციონალიზატორული წინადადების ავტორები არიან. მათი განხორციელებით გასულ წელს ქარხანამ მიიღო 315.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, შემცირდა მანქანების გამოშვების ვადები, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

ტექნიკური კონტროლის განყოფილების ოსტატმა ს. კიკიანმა შეამოკლა მიწისმწოვი მანქანის მთავარი მილის სიგრძე, იგი შეუერთა გვერდითა ტივტივებს, რომლებსაც გაუკეთა ფილტრები. ამან უზრუნველყო მანქანის შეუფერხებელი გაცივება. მანვე გაამარტივა მიწისმწოვის სამაგრი ბოძკინტების დამზადების წესი. რკინის ნაცვლად გამოყენებულია უფრო იაფფასიანი ნედლეული, რაც ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, ამასთან ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

მექვაბე ვ. ბანდურკინმა დაამზადა ამოწოვილი გრუნტის გადამსროლი მილების გასაკეთებელი დანადგარი, რამაც შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და ქარხანას ყოველწლიურად მისცა 60.000 მანეთის ეკონომია. კარგი რაციონალიზატორული წინადადებანი განახორციელეს ზეინკალმა ა. ზავოდნევმა, მემონტაჟე პ. თოფურიამ, ნორმადარმა ი. ზნაკოვსკიმ.

მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, ყოველივე ახლისა და პროგრესულისათვის მხარდაჭერა და ფართოდ დანერგვა პირველადი პარტორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქარხნის პარტორგანიზაციამ (მდივანი მ. შენგელია) წელს ამ მხრივ მუშაობა შეანელა. განსაკუთრებით იგრძნობა ეს ახლა.

პარტიული ორგანიზაცია, კმაყოფილდება რა საამქროთა მიერ გეგმების შესრულების საკითხებზე მსჯელობით, ყურადღებას არ აქცევს რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებას. პარტორგანიზაციის, მისი ბიუროს მუშაობაში იგრძნობა მიღწევებით დატკბობის განწყობილება.

წელს ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე კომუნისტებმა გააკრიტიკეს ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილება. მუშებს დროულად არ ეძლევათ სამუშაო ნახაზები, განყოფილება კონტროლს ახორციელებს არა დეტალების დამზადების პროცესში, არამედ მას შემდეგ, რაც დეტალი უკვე მზად არის. ეს იწვევს არასტანდარტული დეტალის გადაკეთებას, ზედმეტი დროის დახარჯვას. ქარხანაში არ არის სტაპელები — სპეციალური საყრდენები, რომლებიც საჭიროა მიწისმწოვის კორპუსის ფუძის დამზადებისას. საქვაბე საამქროც ვერ მუშაობს გამართულად.

ქარხნის მუშაობის საკითხი მიმდინარე წლის 17 ივნისს განიხილა სსრ კავშირის მეზამბეობის სამინისტროს კოლეგიამ. კოლეგიამ აღნიშნა, რომ ქარხანამ ვერ შეასრულა 4 თვის გეგმა ნომენკლატურის მიხედვით, რისთვისაც მიუთითა ქარხნის ხელმძღვანელებს. ცხადია, ეს არ მოხდებოდა, ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას რომ არ შეესუსტებინა ორგანიზატორული მუშაობა, წაეხალისებინა მუშათა ინიციატივა.

ცუდად მუშაობს რაციონალიზატორთა ბიურო. ბიუროში 7 კაცია. მაგრამ არც ერთ მათგანს არ გაუწევია კონსულტაცია იმ მუშა-სპეციალისტებისათვის, რომლებსაც მოფიქრებული აქვთ ამა თუ იმ დეტალის დამზადების გაუმჯობესება ან ახლის შექმნა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მისულან კონკრეტულ დასკვნამდე. ხოლო ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ინტერესს არ იჩენს რაციონალიზატორთა ბიუროს მუშაობისადმი.

ქარხნის კოლექტივმა წელს უნდა დაამზადოს მრავალი მანქანა. თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს უკვე გაეგზავნა 1 მიწისმწოვი, მესამე კვარტალში დამატებით გაეგზავნება 3 მანქანა, დანარჩენი დამზადების პროცესშია. ქარხანამ სახელმწიფოს უნდა მისცეს 600.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ამოცანა სერიოზულია. მისი შესრულება შეიძლება პარტიული და სამეურნეო მუშაობის უნარიანი შეხამებით, რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით, მუშათა შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერებით.

ეს უნდა გაითვალისწინოს ქარხნის პარტორგანიზაციამ, ხოლო პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტმა მას მეტი ქმედითი და კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიოს.

**ბ. მილიუტინი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის პლენუმი

**გალი.** (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. ვ. ჯიქიას საანგარიშო მოხსენება.

პლენუმმა ამხ. ვ. ჯიქია სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გაათავისუფლა საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ე. გეთია.

# საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში

(რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებიდან)

## ავიაცია თურქმენეთის მთავარი არხის ტრასზე

სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავთა მთელი რიგი ესკადრილიები უწევენ მომსახურებას თურქმენეთის მთავარი არხის ტრასზე საკვლევაძიებოდ გასულ ექსპედიციებს. თვითმფრინავებით მიაქვთ ექსპედიციებისათვის სურსათი, წერილები, გაზეთები, ლიტერატურა, სამუშაო ხელსაწყოები.

თვითმფრინავები გამოყენებულია აგრეთვე ჰაერიდან ტრასის გადასაღებად, ექსპედიციების მუშაკების გადასაყვანგადმოსაყვანად.

კუნია-ურგენჩის, უზბოის, ყაზანჯიყის ექსპედიციებზე მიმაგრებულია რამდენიმე თვითმფრინავი.

(„ტურკმენსკაია ისკრა“)

## ლიტველ მეცნიერთა შრომები დიად მშენებლობათა შესახებ

ლიტველი მეცნიერები მუშაობენ პოპულარული შრომების შესაქმნელად კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ. შრომები გამოცემულ იქნება ცალკე წიგნებად ლიტვურ და რუსულ ენებზე.

ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ი. მატულისმა უკვე დაამთავრა მუშაობა წიგნის დასაწერად — „მეცნიერება კომუნიზმის დიად მშენებლობათა სამსახურში“. ამავე აკადემიის გეოლოგიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა კ. ბელიუკასმა თავისი შრომა მიუძღვნა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობას.

(„სოვეტსკაია ლიტვა“)

## რადიოინფორმაციის კომიტეტის კარგი ინიციატივა

აზერბაიჯანის რადიოინფორმაციის კომიტეტმა სასარგებლო და კარგი ინიციატივა გამოიჩინა—შეუდგა კონცერტების გამართვას რესპუბლიკის დიდ მშენებლობებზე და საწარმოებში იმ ადამიანთათვის, რომელთაც თავიანთი მუშაობის ხასიათის გამო საშუალება არა აქვთ ხშირად დაესწრონ მაღალკვალიფიციურ კონცერტებს.

ამასწინათ აზერბაიჯანის ახალ ქალაქ სუმგაიტში მოეწყო დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ბულბულმა, მსახიობებმა ქემალ ქერიმოვმა, ლიუბოვ ვოლკოვამ, შევქედ ალეკპეროვმა და სხვებმა.

(„ბაკინსკი რაბოჩი“)

## „ლვოვის ტბა“

ლვოვის მახლობლად არ მოიპოვება არც ტბა, არც მდინარე.

წელს ლვოველმა კომკავშირელებმა ითავეს ქალაქის მახლობლად ხელოვნური ტბის შექმნა. ლვოვის პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს კომკავშირელების ინიციატივას. ამჟამად „ლვოვის ტბისათვის“ ქვაბულის გამზადებაზე ყოველდღიურად მრავალი ათასი კაცი გამოდის.

ტბის „სარკე“ 12 ჰექტარზე გადაიშლება, ხოლო მასში წყლის სიღრმე 2,5 მეტრს მიაღწევს. ლვოველებმა ეს მშენებლობა სახალხო მშენებლობად გამოაცხადეს.

(„პრავდა უკრაინი“)

# კომუნიზმისათვის თავდადებული მებრძოლი

1926 წლის 20 ივლისს გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკი. ამ მტკიცე, სპეტაკი ბოლშევიკის სახე მუდამ აღმაფრთოვანებელი იქნება ყველა ბოლშევიკისათვის, თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის. ძერჟინსკის—კრისტალურ, რკინისებური ნებისყოფის ადამიანს, უსაზღვროდ უყვარდა საბჭოთა სამშობლო, მისი აწმყო და დიადი მომავალი, ამასთან განუზომლად სძულდა ჩვენი შინაური და გარეშე მტრები, რომლებიც ცდილობდნენ შეეფერხებინათ ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, ჩაეშალათ კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვება. კომუნიზმისათვის ამ თავგანწირულმა მებრძოლმა საბჭოთა წყობილების გამარჯვებასა და განმტკიცებას, კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლას მოახმარა მთელი თავისი სიცოცხლე.

ფ. ძერჟინსკი ჭაბუკობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. იგი, 17 წლის ახალგაზრდა, მარქსისტული ლიტერატურის გაცნობას შეუდგა, ხოლო 1895 წელს 18 წლის ჭაბუკი შევიდა ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ძერჟინსკი აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა კაუნასის მუშათა შორის, ხოლო შემდეგ პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზატორი, მისი რევოლუციური ფრთის ბელადი გახდა. იგი აქტიურად იბრძოდა ოპორტუნისტებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ, მუშაობაში მტკიცედ ხელმძღვანელობდა ლენინისა და სტალინის იდეებით, ბოლშევიზმის სტრატეგიითა და ტაქტიკით.

ფ. ძერჟინსკი 1906 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე პირადად გაეცნო ლენინს.

თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლი პროფესიონალი რევოლუციონერი ცარიზმის მხრივ სასტიკ დევნას განიცდიდა. ძერჟინსკიმ სხვადასხვა დროს 11 წელი გაატარა საპყრობილეებში, კატორღასა და გადასახლებაში, მაგრამ მისი რკინისებური ნებისყოფა ამან ვერ გატეხა. იგი სამჯერ გამოიქცა გადასახლებიდან და ყოველთვის ახალი ძალით იბრძოდა მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების საქმეში ძერჟინსკი ლენინისა და სტალინის ერთგული თანაშემწე იყო. იგი შეყვანილ იქნა შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი პარტიული ცენტრის შემადგენლობაში, რომელსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობდა. ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და მსვლელობისას ამხანაგი სტალინი ძერჟინსკის ავალებდა ფრიად პასუხსაგებ საქმეს. პარტიის ამ დავალებებს ძერჟინსკი ბრწყინვალედ ასრულებდა. [illegible] ძერჟინსკის „ოქტომბრის [illegible]“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარის დასაცავად, უცხოელ ინტერვენტთა მხარდაჭერით რუსეთის კონტრრევოლუციური ძალების შემოტევისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის საბოტაჟის დასაძლევად, თეთრგვარდიელთა ბანდების, კულაკების, მენშევიკების, ესერების და ანარქისტების ტერორისა და დივერსიების ასალაგმავად, პროლეტარიატის დიქტატურის განსამტკიცებლად ვ. ი. ლენინის წინადადებით 1917 წლის დეკემბერში შეიქმნა საგანგებო კომისია ფ. ძერჟინსკის მეთაურობით. საგანგებო კომისია (ვჩკ) შემდეგში გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოდ გადაკეთდა. ფ. ძერჟინსკი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე ედგა მას სათავეში და მზრუნველობით ზრდიდა საბჭოთა დაზვერვის ბოლშევიკურ კადრებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს შინაური კონტრრევოლუციის, კაპიტალისტური გარემოცვის მიერ შემოგზავნილი ჯაშუშების, დაზვერვის აგენტების, ტროცკისტების, ზინოვიეველების, ბუხარინელებისა და ყველა ჯურის კაპიტულანტების, ორგულების, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაუძინებელი მტრების ალაგმვის საქმეში.

ფ. ძერჟინსკი, რომელიც ულმობლად ებრძოდა ხალხის მტრებს, საბჭოთა დაზვერვის მუშაკებს უნერგავდა მშრომელი ხალხის სიყვარულის გრძნობას, მისი ინტერესების სადარაჯოზე ფხიზლად ყოფნის ჩვევებს, უვითარებდა მტრების გამოცნობის უნარს.

ამხანაგ სტალინის წინადადებით ფ. ძერჟინსკი 1924 წელს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. იმ პერიოდში მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მძაფრ სიძნელეებს განიცდიდა. ფ. ძერჟინსკი მთელი არსებით იბრძოდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბრძნული სტალინური პოლიტიკის განსახორციელებლად.

ლენინი და სტალინი ყოველთვის დიდად აფასებდნენ ფ. ძერჟინსკის ტალანტს, რევოლუციის საქმისათვის მის თავდადებას. ძერჟინსკიმ,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,—„არ იცოდა, რა იყო დასვენება, არ ერიდებოდა არავითარ შავ სამუშაოს, მამაცურად ებრძოდა სიძნელეებს და სძლევდა მათ, მთელ თავის ძალღონეს, მთელ თავის ენერგიას ახმარდა იმ საქმეს, რომელიც მას პარტიამ მიანდო,—და იგი დაიფერფლა პროლეტარიატის ინტერესებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მუშაობაში“.

კომუნიზმის საქმისათვის თავგანწირული, მტკიცე მებრძოლის, თავმდაბალი ბოლშევიკის ფ. ძერჟინსკის ნათელი სახე საუკეთესო მაგალითია თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის.



**მოსკოვი.** ახალი მაღალი შენობა კოტელნიკის სანაპიროზე.
ფოტო ნ. გრანოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# მსოფლიოს ყველა ხალხის საქმე

დედამიწის ყველა კუთხეში მიაღწია ცნობებმა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს იმ საგანგებო სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ, რომელიც ამასწინათ შედგა ბერლინში. მილიონობით მუშები და გლეხები, გონებრივი და ფიზიკური შრომის, სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების მილიონობით ადამიანები იწონებენ და მხარს უჭერენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია მშვიდობის საქმის განმტკიცებისაკენ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს რეზოლუციებში გერმანიისა და იაპონიის პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ, კორეაში ომის შეწყვეტის შესახებ, მოწოდებაში „ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ“ გადაწყვეტილებაში მშვიდობის დასაცავად ხალხთა კონგრესის მოწვევის შესახებ განსახიერებულია ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფება.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ, წერს ჩინური გაზეთი „ჟენმინჟიბაო“, ასახა სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხების დღითიდღე მზარდი მისწრაფება მშვიდობისადმი და შეიმუშავა მშვიდობისათვის შემდგომი ბრძოლის ნათელი პროგრამა. მისი მოწოდებები ღრმად ჩასწვდა თვითეული ადამიანის გულს, აღაფრთოვანა გერმანელი და იაპონელი ხალხები, ევროპის, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხები — კიდევ უფრო გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ მშვიდობისათვის.

აღნიშნავს რა იმ უდიდეს ინტერესს, რომელიც გამოიწვია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებებმა, ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“ წერს, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბერლინის სესიის მიმართვები და რეზოლუციები მანიფესტია კაცობრიობის უმრავლესობისა, რომელიც სულ უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს და ამრიგად ქმნის მშვიდობის მთელი ძალების უძლეველ ფრონტს, რათა უზრუნველყოს საყოველთაო მშვიდობა.

ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანი, რომლებიც უაღრესად დაინტერესებული არიან ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებით, თვალნათლივ ხედავს, თუ რამდენად დროულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდება გავაერთიანოთ ჩვენი ძალები, რათა დავიცვათ მშვიდობის დიადი საქმე.

ახალი ომის გამჩაღებლები, რომლებსაც სათავეში უდგანან ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, აძლიერებენ თავიანთ დანაშაულებრივ ძირგამომთხრელ საქმიანობას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ.

ამერიკელი ინტერვენტები ბარბაროსულად ბომბავენ კორეის ქალაქებს, აწყობენ პროვოკაციულ თავდასხმებს ჩინეთის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებზე. დაადგა რა ჰიტლერული ტირანიის გზას, სისხლისმღვრელი ავაზაკობის გზას, ამერიკელთა სამხედრო ხროვა ხმარობს არაადამიანურ ბაქტერიოლოგიურ იარაღს, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო შეთანხმებებით, კვლავ სჩადის ბოროტმოქმედებას კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ.

დასავლეთ გერმანიასა და იაპონიაში წარმოებს აღდგენა ფაშისტური რევანშისტული შეიარაღებული ძალებისა, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ამზადებენ თავიანთი დამპყრობლური გეგმების განსახორციელებლად. დღითიდღე სულ უფრო შიშვლდება ნამდვილი არსი სეპარატული, სამხედრო ხელშეკრულებებისა, რომლებიც ამერიკელმა იმპერიალისტებმა თავს მოახვიეს იაპონიასა და დასავლეთ გერმანიას. სწორედ ამიტომ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, მხარს უჭერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას გერმანიისა და იაპონიის საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის მხილებით შეშფოთებული იმპერიალისტური რეაქცია მიმართავს რეპრესიებს მშვიდობისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, რომლებიც გაბედულად ლაპარაკობენ სიმართლეს ამერიკელი აგრესორების დანაშაულობათა შესახებ. უბრალო ადამიანების გულისწყრომა და პროტესტები გამოიწვია იმან, რომ ინგლისში სდევნიან კენტერბერის ტაძრის წინამძღვარს ჰიულეტ ჯონსონს, რომელმაც წარმოადგინა კორეასა და ჩინეთში ამერიკელთა სამხედრო ხროვის მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების უდავო დამამტკიცებელი საბუთები. შვეიცარიის ხელისუფალნი სდევნიან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრს, მშვიდობის მომხრეთა შვეიცარიის კომიტეტის თავმჯდომარეს პროფესორ ბონარს.

აგრესორთა ხრიკებს სულ უფრო მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ მშვიდობის მომხრეები, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ევროპის, აზიისა და მსოფლიოს სხვა ნაწილების ბევრ ქვეყანაში ახლა იმართება მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მიტინგები, კრებები, კონფერენციები. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის მონაწილენი გამოდიან მოხსენებებითა და ინფორმაციებით სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ. გამოდის ბროშურები, ფურცლები, რომლებსაც ხალხის მასებში მიაქვთ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებები.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებებს აქტიურად უჭერენ მხარს საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციები და მშრომელთა გაერთიანებანი. ამ გადაწყვეტილებებს სოლიდარობას უცხადებს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 135 მილიონ კაცს. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, განაცხადა ეჟენი კოტონმა, მოუწოდებს ყველა ქვეყნის ყველა ქალს გააერთიანონ თავიანთი ძალები მშვიდობისათვის მებრძოლთა ძალებთან, რათა უმაგალითო გაქანება მისცენ ხალხთა კონგრესს მშვიდობის დასაცავად, რომელიც 5 დეკემბერს გაიხსნება ვენაში.

საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს ამასწინანდელმა სესიამ გამოაცხადა, რომ საფრანგეთში დაიწყო კამპანია, რათა მოამზადონ ხალხთა კონგრესი მშვიდობის დასაცავად. მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის გენერალურმა საბჭომ მოუწოდა ყველა პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიური რწმენის ქალებსა და კაცებს, ყველა პროფკავშირულ, კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციებს, პარლამენტის წევრებს არ დაუშვან ბონის სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაცია, მონაწილეობა მიიღონ მზადებაში ხალხთა კონგრესისათვის მშვიდობის დასაცავად.

მშვიდობის მომხრეთა ავსტრიის საბჭო მის მიერ მიღებულ მიმართვაში წერს: „900 ათასი ავსტრიელი მოქალაქის სახელით, რომლებმაც ხელი მოაწერეს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, მშვიდობის მომხრეთა ავსტრიის საბჭო მიესალმება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში ვენაში მოეწყოს ხალხთა კონგრესი მშვიდობის დასაცავად. ყველა კონტინენტის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ასეულ მილიონობით ადამიანი მიესალმება ამ კონგრესის მოწვევას...“

დაიწყო კამპანია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და განმარტებისათვის. მშვიდობის მომხრეები მიზნად ისახავენ გააცნონ სესიის გადაწყვეტილებანი ყველა ქვეყნის თვითეულ ქალსა და თვითეულ კაცს, დარაზმონ მშვიდობისათვის აქტიურად საბრძოლველად ახალი მილიონობით ადამიანები.

მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა.

მშვიდობის მტრების კაცთმოძულეობითი ზრახვების ჩაფუშვა შეიძლება მხოლოდ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის გაერთიანებული ღონისძიებებით. მშვიდობისათვის მებრძოლთა მასობრივი მოძრაობის შემჭიდროება, მზარდი ორგანიზებულობა, ომის გამჩაღებელთა ხრიკების განუწყვეტლივ მხილება, მშვიდობის აქტიურ დამცველთა რიგებში მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების ჩაბმა, რომლებიც მშვიდობას ესწრაფვიან, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩაბმულან ამ მოძრაობაში,— აი ის გზა, რომელსაც მივყავართ მშვიდობის მომხრეთა კეთილშობილური ამოცანების განხორციელებისაკენ.

**„მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, —** აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, **— თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას“.**

ამ გზით მშვიდობისმოყვარე ხალხები ჩაფუშავენ იმპერიალისტ აგრესორთა ზრახვებს, შეინარჩუნებენ და განამტკიცებენ მშვიდობის დიად საქმეს.

**„პრავდის“ 19-VII მოწინავე**

წერილი რედაქციას

# საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს

„კომუნისტის“ 1 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფის წერილი „ერთი მოუგვარებელი საკითხის გამო“, რომელშიც ავტორები სრულიად სამართლიანად მიუთითებენ იმ დაუშვებელ მდგომარეობაზე, რომელიც ბავშვების სახელების დარქმევაში არსებობს.

ამასთან დაკავშირებით გვინდა ერთ მტკივნეულ საკითხსაც შევეხოთ; სახელდობრ, თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა პერსონაჟების საკუთარი სახელების შერჩევას.

ჩვენს ქვეყანაში წიგნს ეწაფებიან მშრომელთა ფართო მასები. ქართულ მხატვრულ ლიტერატურას ახლა იმდენი მკითხველი ჰყავს, რამდენიც არასოდის არა ჰყოლია. საბჭოთა მკითხველს უყვარს კარგი წიგნი, კარგი რომანი; უყვარს ლიტერატურული ნაწარმოების დადებითი გმირები, ცდილობს მიბაძოს ამ გმირებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლები ბავშვებს საყვარელი გმირების სახელებს არქმევენ. ამიტომ მწერლებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ და დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პერსონაჟთა სახელების შერჩევაში. მწერალი კარგი სახელების პირველი პროპაგანდისტი უნდა იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ მოთხრობასა და რომანში შეხვდებით ისეთ სახელებს, რომელთა პოპულარიზაცია სრულებით არ არის საჭირო, მიზანშეწონილი.

რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ სახელებზე, რომლებიც წინა წლებში შექმნილ და გამოცემულ ნაწარმოებებში გვხვდება (ელდინო, რინე — ს. შანშიაშვილისა, ატუა — ს. კლდიაშვილისა და სხვ.), უკანასკნელ ხანს შექმნილ ნაწარმოებებში გამოყენებულია ბევრი პრეტენზიული და ზოგჯერ სრულიად გაუმართლებელი სახელი; ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი სახელები, როგორიცაა მაგული—პ. კაკაბაძისა („ბედნიერების სამჭედლო“), მედინა—ვ. პატარაიასი („უჩა უჩარდია“), ნექტარინა—შ. დადიანისა („მენჯი რობუ“), ფასო— ი. ლისაშვილისა („ერთგულება“) და მრავალი სხვ.

ჩვენი აზრით, არ არის სასურველი, რომ ისეთი სახელებიც-კი, როგორიც არის დესი—შ. დადიანისა („დესი“ და „მენჯი რობუ“), მავრა—ა. ქუთათელისა („იონა და მავრა“) ნაწარმოების მთავარ გმირებს ერქვათ; ზოგი მათგანი დღესაც „უცხოურად“ გამოიყურება, ზოგი-კი საალერსო, მოფერებითი სახელია, რომლებიც, ვფიქრობთ, ნაწარმოებში მხოლოდ სრული, მისაღები სახელის პარალელურად შეიძლება ვიხმაროთ (დიალოგებში, მოქმედ პირთა მეტყველებაში).

უნდა ჩანდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მწერლის დამოკიდებულება თავისი ნაწარმოების გმირის სახელისადმი, როგორც ეს გვაქვს, მაგალითად, რ. ჯაფარიძის „ხევის პატარძალში“. იქ ვკითხულობთ: „ღუმელთან მოფუსფუსე ელისაბედის ქალიშვილმა ირინემ, რომელსაც შინაურობაში ცაგოს ეძახდნენ, თავი გაანება სუფრის გაშლას“. სრულიად ბუნებრივია, რომ ცხოვრებაში ადამიანს ერქვას რაიმე მოფერებითი სახელი და მხატვრულ ნაწარმოებშიც აისახოს იგი.

ხშირად მწერალს სურს, რომ ნაწარმოების გმირის სახელი გამოხატავდეს ირონიას, სურს სახელით გამოაჩინოს გმირის ხასიათი (მაგალითად, გენრიეტა—ი. ლისაშვილისა, დორა — ა. ქუთათელისა; ორივე პერსონაჟს ახასიათებს ევროპული „კულტურის“ წინაშე ქედის მოხრა), მაგრამ აქაც მხედველობაში უნდა გვქონდეს მხატვრული ნაწარმოებებიდან სახელთა სესხების ტენდენცია და შეძლებისდაგვარად უნდა ვერიდოთ პრეტენზიულ და გაუმართლებელ სახელებს.

ჩვენ, მაგალითად, ეჭვი არ გვეპარება, რომ ბევრი სახელი, რომლებიც საკმაოზე მეტად არის ჩვენში გავრცელებული (არიადნა, ლონდა, გენრიეტა, თამილა და სხვ.), გადმოსულია სწორედ წიგნებიდან (ქართული თუ უცხოური რომანებიდან).

ახლა, როდესაც საკუთარი სახელების საკითხი აქტუალურად წამოიჭრა, ჩვენს მწერლებს პირველი სიტყვა ეკუთვნით. მათ მართებთ თავიანთი შემოქმედებით ხელი შეუწყონ კარგი სახელების შერჩევას.

**მ. ჭაბაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურელის დღე

# ახალი ამოცანების დონეზე ავიყვანოთ ფიზკულტურული და სასპორტო კოლექტივების მუშაობა

## მეტალურგთა ქალაქში

ახალგაზრდა სოციალისტურ ქალაქში დღითიდღე იზრდება ფიზკულტურით და სპორტით დაინტერესებულთა რიცხვი. დღეისათვის რუსთავის ფიზკულტურულ კოლექტივებში გაერთიანებულია 4.000-მდე ახალგაზრდა.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ქალაქში განხორციელდა 39 სასპორტო ღონისძიება, რამიაც მონაწილეობა მიიღო 2.187 ფიზკულტურელმა. რუსთავის სასპორტო საზოგადოებათა ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ, საოლქო, რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, აგრეთვე შეჯიბრებებში ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების „მეტალურგისა“ და „მშენებლის“ ცენტრალური საბჭოების პირველობაზე.

საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს № 17 სახელოსნო სასწავლებლის ფიზკულტურელებმა. მათ ქართულ ჭიდაობაში შრომითი რეზერვების ხაზით მოწყობილ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს და გარდამავალი ალამი დაიმსახურეს.

რუსთავში მრავლად არიან საუკეთესო სპორტსმენები, რომლებიც ღირსეულად იცავენ მეტალურგთა ქალაქის სპორტულ სახელს და ამასთან გამოირჩევიან შრომის ფრონტზეც. მათ რიცხვს ეკუთვნიან ძველი ალპინისტი, ინჟინერი მარიამ ტყავაძე, მგლინავი ვ. მატუაშვილი, არქიტექტორი გ. ჯაში, ინჟინრები რ. კოტრიკაძე, ზ. ჯაში, მშენებლები, საუკეთესო მძლეოსნები ლ. პოლიანიჩკო და ი. კომისარენკო.

მაგრამ ამ წარმატებათა მიუხედავად რუსთავის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტი სუსტად ეხმარება ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს. ამის გამო მთელი რიგი ფიზკულტურული ორგანიზაციები ფორმალურად არსებობენ. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის. ფიზკულტურულ მოძრაობაში მცირე რაოდენობით არიან ჩაბმული ქალები.

ფიზკულტურული ორგანიზაციები მოვალენი არიან უფრო შინაარსიანი და საინტერესო გახადონ თავიანთი მუშაობა, მიაღწიონ სპორტსმენთა ოსტატობის დონის შემდგომ ამაღლებას.

**გ. გელაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ახალგაზრდობის საყვარელი სპორტი

ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში დიდი პოპულარობა მოიპოვა ფიზკულტურამ და სპორტმა. იგი საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა.

როგორც ცნობილია, ფეხბურთი სპორტის ყველაზე მასობრივი სახეა. მასში ჩაბმულია ათეულ ათასობით ახალგაზრდა. ფეხბურთელებს ევალებათ უფრო აამაღლონ ფიზიკური მომზადება, დაეუფლონ ტექნიკურ და ტაქტიკურ ოსტატობას, გამოიმუშაონ ამტანობა, საზრიანობა, გამძლეობა, რაც უზრუნველყოფს წარმატებას შეჯიბრებაში.

საქართველოში ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ფეხბურთით დაინტერესებულია მრავალი ათასი ახალგაზრდა. მარტო თბილისში ფეხბურთის 200-მდე გუნდია, მათ შორის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდიც, რომელიც საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა წინაშე წელს დგას მეტად ძნელი და საპატიო ამოცანა—საკავშირო პირველობაზე თამაშში მიაღწიონ ახალ წარმატებას, უკეთეს მაჩვენებლებს, ვიდრე შარშან. ამიტომ მათ კარგად უნდა ახსოვდეთ: არ დამშვიდდნენ წარსული მიღწევებით, უფრო აამაღლონ თამაშის კლასი, გამოასწორონ ნაკლი, რაც გამოიხატება არაზუსტი დარტყმებით გადამწყვეტ მომენტში.

როგორც ცნობილია, ფეხბურთში წარმატებას მიაღწია თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა, რომელმაც ივანოვოს ზონაში პირველი ადგილი დაიკავა და მოიპოვა უფლება სხვა ზონებში გამარჯვებულ გუნდებთან ერთად იბრძოლოს საპატიო მიზნისათვის — პირველ ჯგუფში გადასვლისათვის. მეორე ჯგუფში შეჯიბრება პირველობისათვის 17 ივლისს დაიწყო ქ. ლენინგრადში.

თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი შედგება ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელებისაგან. გუნდი ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად არის მომზადებული. მას აქვს შესაძლებლობა ამ შეჯიბრებაში საპრიზო ადგილი დაიკავოს. ვნახოთ, როგორ გამოიყენებს იგი ამ შესაძლებლობას. ფეხბურთელთა გუნდებს შორის აღსანიშნავია საქართველოს ჩემპიონის—ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, 26 კომისრის რაიონის, მაუდის ფაბრიკის და მრავალი სხვა გუნდის წინსვლა და წარმატება.

ამოცანა ის არის, რომ ჩამორჩენილი გუნდები გაუტოლდნენ მოწინავეებს, რაც საშუალებას მოგვცემს ვიყოლიოთ არა ერთი და ორი ძლიერი გუნდი, არამედ მეტი. ეს კი შექმნის შესაძლებლობას ჩვენი წამყვანი გუნდები შევავსოთ ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელებით.

**გ. პაიჭაძე,**
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.



თბილისის მექანიკური ქარხანა. **სურათზე:** სახარატო საამქროს მოწინავე ხარატი ვ. ნიკოლაიშვილი, რომელიც თვიურ საწარმოო დავალებებს 400 პროცენტით ასრულებს.
ფოტო რ. აკოფოვისა.

## 10 ათასი ტონა ზეგეგმითი გუმბრინისათვის

საქართველოს გუმბრინის წარმოების მუშაკთა კოლექტივმა ახალი შრომითი წარმატებებით დაამთავრა მიმდინარე წლის პირველი ნახევარი. ახლა გუმბრინელმა მაღაროელებმა იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოიპოვონ 10 ათასი ტონა გუმბრინი. ამ ვალდებულების გასანაღდებლად წარმატებით მუშაობენ.

წლის პირველი ნახევრის შედეგები საამაყოა. 6 თვეში წარმოებამ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა 4.700 ტონა ნატეხი გუმბრინი. 123,9 პროცენტით შესრულდა გუმბრინის დაფქვის, ხოლო 107 პროცენტით — სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გასული ექვსი თვის გეგმა.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა № 3 მაღარომ (უფროსი გ. გოცირიძე), რომელმაც გუმბრინის ამოღების ნახევარი წლის გეგმა 119 პროცენტით შეასრულა. ცვლებს შორის გამარჯვება ხვდათ ქ. გურეშიძისა და ვ. ლოლობერიძის ცვლებს. პირველმა მათგანმა დავალება შეასრულა 126 პროცენტით, მეორემ — 120 პროცენტით.

წარმოების სტახანოველები — რკინიგზის ოსტატი ნ. გოიევი, მებიგეები ნ. იაცკოვი, ვ. ჟუკოვსკი, მბურღავები ი. ფანცხავა, ო. ჩოგოვაძე, რ. ფანცხავა, მტვირთავები ვ. გლუნჩიძე, შ. ქაშიბაძე და ნ. გოგილაძე დღიურ დავალებებს სისტემატურად 170-180 პროცენტით ასრულებენ.

გუმბრინელი მაღაროელები თავდადებით იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. საამისოდ ფართოდ იყენებენ მექანიზმებს. მათ წარმატებით გამოიყენეს ექსკავატორი ნატეხი გუმბრინით ვაგონების დასატვირთავად. ამან კარგი შედეგი გამოიღო. ექსკავატორმა შეცვალა 40 მტვირთავი მუშა და ერთიორად დააჩქარა დატვირთვის ტემპი.

ოქტომბერში საექსპლოატაციოდ გადაეცემა გუმბრინის ახალი მაღარო, რომლის მშენებლობა შარშან დაიწყეს. მაღაროში თითქმის ყველა სამუშაო მექანიზებული იქნება, რაც შრომის ნაყოფიერებას 30 პროცენტით გაზრდის.

**შ. ცანავა,**
გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქციის მდივანი.

ფელეტონი

## „გ ა ყ რ ა“

—რამ გაიძულათ აღგეძრათ თებრო დიმიტრის ასულ ნოზაძისაგან გამოყოფის საკითხი?

მოსარჩელე სვეტლანა ღამბაშიძე დუმს.

— როგორია თქვენი საბოლოო აზრი და გადაწყვეტილი გაქვთ თუ არა ცალკე კომლად გამოყოფა?

კვლავ დუმილი.

—ხასიათი ვერ შეუწყეს ერთმანეთს, ამხანაგო მოსამართლე. თებრო ნოზაძე მეტად ხელმომჭირნე, მძიმე ხასიათის ქალია, ძნელია მასთან ცხოვრება. სვეტლანა ღამბაშიძის გადაწყვეტილება მტკიცეა. მას სურს ცალკე კომლად გამოყოფა და დამოუკიდებელი ცხოვრება, — აცხადებს არამკითხე ადვოკატი იასონ ღამბაშიძე.

— ერთხელ კიდევ გეკითხებით, მოსარჩელე სვეტლანა ღამბაშიძე, გადაწყვეტილი გაქვთ თუ არა ცალკე კომლად გამოყოფა?

სვეტლანა ღამბაშიძე კვლავ დუმს.

„დუმილი თანხმობის ნიშანიაო“ — უთქვამთ...

სვეტლანა ღამბაშიძის „მოთხოვნა“ ცალკე კომლად გამოყოფის შესახებ კანონიერად იქნა მიჩნეული და მას მიეკუთვნა 2.758 მანეთი. ამ თანხის ანგარიშში (!) იასონ ღამბაშიძემ თებრო ნოზაძის კუთვნილი ქონებიდან წაიღო ბეღელი, ბოსელი, საშენი მასალა, წაიყვანა პირუტყვი...

ასეთია კომედია „გაყრის“ მეორე მოქმედება, რომელიც ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში გათამაშდა.

რატომ დუმდა მოსარჩელე სვეტლანა ღამბაშიძე, ან ვინ არის ეს არამკითხე ადვოკატი იასონ ღამბაშიძე, რომელიც განსაკუთრებულ აქტიობას იჩენდა სასამართლო პროცესზე და დაჟინებით მოითხოვდა, რომ სვეტლანა ღამბაშიძე თებრო ნოზაძეს გაჰყროდა? ამის გასაგებად გავეცნოთ „გაყრის“ პირველ მოქმედებას.

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ გოლათუბნის მცხოვრებმა იასონ პანტელის-ძე ღამბაშიძემ და მისმა მეუღლემ 65 წლის მოხუც თებრო ნოზაძეს ტკბილი სიტყვებით მიმართეს: შენი ცოდვით აღარა ვართ, სულ იმაზე ვფიქრობთ, თუ როგორ უნდა გაუძლვე მარტოხელა ქალი ოჯახს. ვინ დაგეხმარება მოხუცს, ვინ გაიზიარებს შენ ჭირსა და ლხინს? მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო — უთქვამს ხალხს. ის ცხონებული შენი ქმარი ხომ გარდაიცვალა?! გავერთიანდეთ, ჩემო კარგო, ჩვენ ვიქნებით შენი მომვლელები...

...და მალე იასონ ღამბაშიძე თავისი მეუღლით ჩასახლდა მოხუც პენსიონერ თებრო დიმიტრის ასულ ნოზაძის ორსართულიან სახლში.

სულ მალე იასონ ღამბაშიძეს გოგონა შეეძინა, და ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა თებრო ნოზაძეს კვლავ მიმართა ტკბილი სიტყვებით: არ ვიცით, როგორ გადაგიხადოთ ამაგი, სულ შენზე ვფიქრობთ, გული გვიკვდება, რომ შენისთანა კარგ და კეთილ ადამიანს მემკვიდრე არა ჰყავს. მოდი, იშვილე ჩვენი გოგონა სვეტლანა. დიდი ბედნიერება და სიხარულია გყავდეს შვილი, ზრუნავდე მის აღზრდაზე, იყო დედა. სვეტლანა მალე მოგესწრება, თებრო ნოზაძის ქალიშვილიაო — იტყვიან.

დათანხმდა თებრო.

წითელ სასოფლო საბჭოს აღმასკომის საკომლო დავთრებში პატარა სვეტლანა გატარებულ იქნა, როგორც თებრო ნოზაძის კანონიერი მემკვიდრე...

განვლო დღეებმა... და თებრომ მოულოდნელად უწყება მიიღო ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოდან. მას სასამართლოში იბარებდნენ იმის გამო, რომ მისი შვილობილი, რამდენიმე თვის გოგონა სვეტლანა ცალკე კომლად გამოყოფას და ქონების ნაწილს მოითხოვდა.

ასეთია კომედია „გაყრის“ პირველი მოქმედება, რომელიც მოამზადა იასონ ღამბაშიძემ...

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლემ ილია მეტრეველმა დაივიწყა კანონი. საკვირველია, რომ სვეტლანას ასაკმა (იგი სულ რამდენიმე თვისა იყო) ხელი ვერ შეუშალა უკანონო გადაწყვეტილების მიღებას. კიდევ უფრო საკვირველია, რომ ეს გადაწყვეტილება დაადასტურა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (თავმჯდომარე თ. წურწუმია).

როგორც მოსალოდნელი იყო, სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ ეს უკანონო განაჩენი დაარღვია და გადაწყვიტა: იასონ ღამბაშიძემ თებრო ნოზაძეს დაუბრუნოს 2.758 მანეთი. მაგრამ, სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ბეღელი იასონმა 2.500 მანეთად მიჰყიდა წიფის მცხოვრებ ალექსანდრე ლონდაძეს...

აშკარაა, რომ იასონ პანტელის-ძე ღამბაშიძეს თებრო დიმიტრის ასულ ნოზაძის ქონების ხელში ჩაგდება ჰქონდა განზრახული, როცა კომედია „გაყრას“ ამზადებდა. საკითხავია, რა ამოძრავებდა სახალხო მოსამართლე ილია მეტრეველს, როცა ასეთი უკანონო გადაწყვეტილება გამოჰქონდა?

კომედია „გაყრა“ ამ ორი მოქმედებით არ უნდა დამთავრდეს. სამართლიანობა მოითხოვს დაემატოს მას მესამე მოქმედებაც, რომლითაც დაისჯებიან ამ „გაყრის“ დამდგმელები.

**ვ. ბივიშვილი.**

## კარალეთელი სპორტსმენები

კარალეთელმა ფიზკულტურელებმა ომისშემდგომ წლებში სოფლის ცენტრში მოაწყეს საჭიდაო არენა, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, შექმნეს ტანვარჯიშის „ქალაქი“. წინათ აქ კოლმეურნე ფიზკულტურელები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდნენ, გვიჩვენებდნენ სერიოზულ მიღწევებს სპორტში, მაგრამ მალე ეს მუშაობა ჩაკვდა, კარალეთში დავიწყებას მიეცა ფიზკულტურა. ასე გასტანა 4-5 წელს.

ამ უკანასკნელ ხანს კოლმეურნე ახალგაზრდებმა დახმარებისათვის მიმართეს საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას, რომელმაც აქტიურად მოჰკიდა ხელი ფიზკულტურულ მუშაობას, დარაზმა ახალგაზრდები ახალ სპორტულ მიღწევათა მოსაპოვებლად, ახალი რეკორდების დასამყარებლად. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის.

კოლმეურნეობაში შეიქმნა ფიზკულტურული კოლექტივი, რომელსაც კოლმეურნეობის ბრიგადირი, კომუნისტი შ. თედლიაშვილი ხელმძღვანელობს. ფიზკულტურულ კოლექტივში 90-მდე კოლმეურნე ჭაბუკი და ქალიშვილია გაერთიანებული. ისინი ეუფლებიან ტანვარჯიშს, მძლეოსნობას, სასპორტო თამაშობებს.

სპორტის ეროვნული სახე—ქართული ჭიდაობა დიდი პოპულარობით სარგებლობს აქაურ კოლმეურნეთა შორის. შექმნილია ქართული ჭიდაობის სექცია, რომელსაც კოლმეურნე კომკავშირელი ნ. ჩუხრუკიძე ხელმძღვანელობს. საჭიდაო არენაზე ხშირად იმართება ამხანაგური შეჯიბრება. ამას წინათ ერთმანეთს შეხვდნენ კარალეთისა და ტყვიავის კოლმეურნე მოჭიდავეთა გუნდები. კარგად არიან ცნობილი კარალეთელი კოლმეურნე მოჭიდავენი შ. შავშიშვილი, მ. ზაზარაშვილი, შ. გოგიაშვილი და სხვები.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ფრენბურთის სექცია, რომელსაც სოფლის მასწავლებელი ი. ბაქრაძე ხელმძღვანელობს. ამ სექციაში 16 კოლმეურნეა გაერთიანებული. ხშირად ეწყობა ამხანაგური შეჯიბრება ფრენბურთში როგორც ადგილობრივ, ისე რაიონის ნაკრებ გუნდებთან.

სხვა სექციებს არც მძლეოსნობის სექცია ჩამორჩება. სექციის 45 წევრი დაუღალავად ეუფლება სპორტის ამ სახეს. სისტემატურად წარმოებს საწრთვნელი ვარჯიში. 30-მა კოლმეურნემ უკვე ჩააბარა ნორმები მშთ პირველი საფეხურის ნიშანზე. წარმოებს წვრთნა მშთ მეორე საფეხურის ნიშანზე ნორმების ჩასაბარებლად. მძლეოსნობის სექციამ მონაწილეობა მიიღო მძლეოსნობის საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების პირველ ტურში, რომელიც გორში გაიმართა.

გორის რაიონში მრავლად არიან მზარდი სპორტსმენები, რომლებსაც შეუძლიათ უფრო საამაყო შედეგს მიაღწიონ, მაგრამ მათ ყოველთვის როდი უწევენ სათანადო დახმარებას. რაიონის კოლმეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობა ბევრგან უყურადღებოდ არის მიტოვებული.

რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებს, ყველა პირობა შექმნან ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის.

**შ. ჩუბინიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ჩვენი საწარმოს ფიზკულტურელები

ფიზიკური კულტურა და სპორტი დიდი სიყვარულით სარგებლობს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მრავალრიცხოვან კოლექტივში. 20 სასპორტო სექციაში რეგულარულად მეცადინეობს ათასხუთასზე მეტი მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი და მოსამსახურე. ბევრი მათგანი სახელმოხვეჭილი სპორტსმენია, ბევრსაც ჩაბარებული აქვს მშთ კომპლექსის და თანრიგოსანთა ნორმები.

სასპორტო სექციათა შორის ყველაზე უკეთ მუშაობს ფეხბურთის სექცია (თავმჯდომარე მ. მანდენაშვილი, მწვრთნელი ს. სიხარულიძე). ფეხბურთის ნაკრები გუნდი, რომლის კაპიტანია ბ. ნარსია, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ზედიზედ ინარჩუნებს ქალაქ თბილისის ჩემპიონის სახელს. გუნდმა ორჯერ მოიპოვა ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოება „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს თასი. 1951 წელს გუნდი საქართველოს თასის მფლობელი გახდა, სსრ კავშირის თასის გათამაშების შეჯიბრებაზე გავიდა მერვედფინალში და შეხვდა მოსკოვის ვვს-ის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს, ხოლო წელს საქართველოს ჩემპიონია.

მოწინავეთა რიგებშია ფრენბურთის სექცია (თავმჯდომარე ა. მირზოევი). ფრენბურთის ნაკრებმა გუნდმა წელს საქართველოს თასის გათამაშებაში თბილისის ოლქის მასშტაბით პირველი ადგილი დაიკავა. მთელი სამმართველოს კოლექტივი იცნობს განთქმულ ფრენბურთელებს ზეინკალ ქ. კიკნაძეს, ცვლის ოსტატ ვ. ლომიძეს, ტექნიკურ კონტროლიორ-ინსპექტორს გ. არახჩიანს და სხვებს.

ჩვენ გვყავს არა მარტო შესანიშნავი ფეხბურთელები და ფრენბურთელები, არამედ კალათბურთელები, ჩოგბურთელები, მძლეოსნები და სხვ. მღებავმა ილია შუქუროვმა შარშან სასპორტო საზოგადოება „ტრუდის“ საკავშირო პირველობაზე ათჭიდში პირველი ადგილი დაიკავა. ასეთი მძლეოსნები სხვაც ბევრი შეიძლება დავასახელოთ.

ნაყოფიერად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას აგრეთვე ცურვის, ნაოსნობის, ჭადრაკის და სხვა სექციები. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ტურიზმის სექციაზე, რომელმაც წელს მხოლოდ ერთი სასპორტო ღონისძიება განახორციელა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ სპორტის ეროვნული სახეების განვითარებას. მაგალითად, მართალია, არსებობს ქართული ჭიდაობის სექცია, მაგრამ მისი მუშაობა ჩაშლილია სასპორტო დარბაზის უქონლობის გამო.

ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივის ყოველდღიურ ზრდას და მისი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებას მოწმობს ის ფაქტი, რომ შარშან 10.000-ზე მეტმა ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა 175 სასპორტო ღონისძიებაში. სამმართველოს ფიზკულტურელთა განკარგულებაშია საუკეთესო სასპორტო მოედანი, საზაფხულო დახურული სასპორტო პავილიონი, სანაოსნო სადგური ლისის ტბაზე და სხვ. ამჟამად სამმართველოს ტერიტორიაზე შენდება საქართველოში ყველაზე დიდი სასპორტო დარბაზი, რომელიც შესანიშნავი საჩუქარი იქნება ტრამვაელ ფიზკულტურელთათვის.

სამმართველოს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად ზრუნავენ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის. პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე ხშირად ხდება მსჯელობის საგნად ფიზკულტურისა და სპორტის საკითხები, ისახება პრაქტიკული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გადაჭარბებით ვასრულებთ მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმებს. შარშან მშთ პირველი საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების წლიური გეგმა 124 პროცენტით გავანაღდეთ, მეორე საფეხურისა — 110, პირველთანრიგოსანთა მომზადებისა — 130 პროცენტით და სხვ. წლევანდელი ნახევარი წლის გეგმის შესრულებასაც გადავაჭარბეთ, მოვამზადეთ ათობით ნიშნოსანი და თანრიგოსანი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ წელს ნელი ტემპით მიმდინარეობს ფიზკულტურის საზოგადოებრივი კადრების — ძირეული საბჭოს თავმჯდომარეებისა და ფიზორგების მომზადება. ხელიდან გავუშვით ზამთარი — საზოგადოებრივი კადრების მომზადებისათვის ხელსაყრელი პერიოდი.

ფიზკულტურის საბჭო ეხმარება ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს. ამის შედეგად ძირეული კოლექტივები შესამჩნევად განმტკიცდნენ და გაიზარდნენ. ისინი დღითი-დღე აუმჯობესებენ მუშაობას. ძირეულ კოლექტივთა შორის გამოირჩევიან ვაგონშემკეთებელი სახელოსნოებისა და ტროლეიბუსის მეურნეობის კოლექტივები. მარტო ტროლეიბუსის მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი 300-მდე წევრს აერთიანებს.

უდავოდ მნიშვნელოვანია ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივის წარმატებანი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა თვითდამშვიდებას მივცემოდით და მიღწეულით დავკმაყოფილებულიყავით. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წარმატებებს თან ახლავს ჩრდილოვანი მხარეებიც.

ფიზკულტურელის საკავშირო დღის აღსანიშნავად პირობას ვდებთ დავძლიოთ არსებული ნაკლოვანებანი, ყოველდღიურად ვამრავლოთ სასპორტო წარმატებანი.

ამჟამად ტრამვაელი ფიზკულტურელები მონაწილეობას იღებენ თბილისის მე-14 საფაბრიკო-საქარხნო ტრადიციულ სპარტაკიადაში. ვიმედოვნებთ, რომ ისინი აქაც სასახელოდ დაიცავენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ ღირსებას.

**გ. სამადაშვილი,**
ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

## ლიტოპონის ქარხანა დაწინაურდა

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ლიტოპონის ქარხანამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალი ჩამორჩენით დაამთავრა, რადგან შარშან საწარმოს ხელმძღვანელობამ არ შექმნა ბარიტის საჭირო მარაგი. ამჟამად ძირითადი გარდატეხაა მიღწეული როგორც სამთო რაიონების, ისე ქარხნის საამქროების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ქარხანაში მტკიცედ იცავენ ბარიტის მომარაგების დაწესებულ გრაფიკს. ქარხნის საამქროში განხორციელდა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. მაგალითად, ლიტოპონის საამქროში საშრობი ღუმელების ბრუნვის სიჩქარე 10 პროცენტით გაზარდეს.

ბარიუმის საამქროში გაუმჯობესებულ იქნა ელევატორების კონსტრუქცია. ამავე საამქროში დაიდგა ღლიასებრი საცერი ბარიტის გასატარებლად, რამაც გააუმჯობესა ტექნოლოგიური პროცესი და 15 პროცენტით შეამცირა დანაკარგები.

ლიტოპონელებმა მიმდინარე წლის მეორე კვარტალის გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს, ხოლო წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ. ივლისის პირველი დეკადის გეგმა ქარხანამ 115 პროცენტით გაანაღდა.

ქარხნის კოლექტივის ვალდებულებაა ივლისში გეგმის გადამეტებით დაამზადოს რამდენიმე ათეული ტონა პროდუქცია და ყველაფერი გააკეთოს პირველი კვარტალის დანაკლისის დასაფარავად.

**გ. მეფისაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

### „დაუდევრობის იშვიათი მაგალითი“

„კომუნისტის“ 20 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „დაუდევრობის იშვიათი მაგალითი“, რომელშიც გაკრიტიკებული იყო გორის საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ უხეირო მუშაობა.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტი გვატყობინებს: დადასტურებულია, რომ გაზეთ „სტალინელის“ პასუხისმგებელი მუშაკები უსულგულოდ ეკიდებოდნენ გაზეთის მუშაობას, რის შედეგადაც გაზეთი ხშირად უშვებდა შეცდომებს. „კომუნისტის“ ამა წლის 20 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში სამართლიანად არის გაკრიტიკებული „სტალინელის“ 8 ივნისის ნომერი უხეში შეცდომების გამო.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის ბიურომ გორის საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ რედაქტორი ამხ. ა. ზურაბაშვილი და რედაქციის მდივანი ამხ. დ. ნავდარაშვილი მოხსნა სამუშაოდან და დაადო მათ პარტიული სასჯელი. პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. დ. რომელაშვილს მიეცა მითითება გაზეთის მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო.

### „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მძლავრი დასაყრდენის შეუფასებლობის შედეგი“.

„კომუნისტის“ 25 მაისის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის პარტიული კაბინეტი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. არ ეწყობა ლექციები, პარტკაბინეტი ცუდად ეხმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს, მეთოდურ დახმარებას არ უწევს კონსულტანტებს, სუსტი კავშირი აქვს აგიტატორებთან.

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული წერილი, მართებულად ცნო მასში მოყვანილი ფაქტები და დასახა ღონისძიებანი პარტკაბინეტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

სალექციო მუშაობის შეუფასებლობისა და ჩაშლისათვის ლექტორთა ჯგუფის წევრებს დ. ტაბატაძეს, ს. ჯავახიშვილს, ი. ჯიოევს დაედოთ სასტიკი პარტიული სასჯელი, ხოლო ლექტორებს ბ. ჯავახიშვილს და ლ. ოთინაშვილს მიეცათ გაფრთხილება.

პარტიის რაიკომის ბიურომ დაავალა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას მკვეთრად გააუმჯობესოს პარტკაბინეტის მუშაობა და სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს ლექციური პროპაგანდა.

### „კოლმეურნეობებისადმი ზერელე ხელმძღვანელობის შედეგი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 5 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო პარტიის გეგეჭკორის რაიკომის მუშაობა კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომმა კრიტიკა სწორად ცნო და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველი აგრორაიონის აგრონომი აკაკი გოროზია ჩაის ფოთლის კრეფის უხეში დარღვევის დაშვებისათვის მოხსნილია სამუშაოდან, მეურნეობის მთავარ აგრონომს ი. გოგილავას და პარტბიუროს მდივანს ე. ჯგერენაიას დაედოთ პარტიული სასჯელი.

### „უყურადღებობა პირუტყვისათვის საკვების მომზადებაში“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 26 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია. პარტიის წითელწყაროს რაიკომი გვატყობინებს, რომ ეს საკითხი განიხილა ბიურომ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი თივის აღებასა და საკვების დასილოსებაში ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟაკ დიუკლოს პროტესტი

### წერილი სასამართლოს უფროსი გამომძიებლისადმი

**პარიზი,** 18 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ" დღეს გამოაქვეყნა ტექსტი ჟაკ დიუკლოს წერილისა სასამართლოს უფროსი გამომძიებლისადმი. წერილში გამოთქმულია პროტესტი იმის გამო, რომ ამერიკის პრესამ გამოაქვეყნა ცნობები, რომლებსაც შეიცავს ჟაკ დიუკლოს ეგრეთწოდებული „საქმე". დიუკლო პროტესტს აცხადებს, კერძოდ იმის წინააღმდეგ, რომ გამოქვეყნებულ იქნა ამონაწერები მისი უბის წიგნაკიდან, რომელიც მას პოლიციაში წაართვეს პორტფელთან ერთად 28 მაისს.

ჟაკ დიუკლო აღნიშნავს, რომ, თუმცა პარიზის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებლო პალატამ გამოიტანა გადაწყვეტილება მისი სასამართლო დევნის შეწყვეტისა და საპყრობილიდან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ მისთვის დღემდე არ დაუბრუნებიათ წართმეული პორტფელი და უბის წიგნაკი, რომელიც შიგ იყო. უფრო მეტიც, ამ ჩანაწერების შინაარსი რაღაც გზით ხელში ჩაუვარდა ამერიკის ერთ სააგენტოს, რომელმაც ამერიკის გაზეთებში გამოაქვეყნა გაყალბებული ამონაწერები.

„ეს მეთოდები, — წერს ჟაკ დიუკლო, — უცნაურად მოგვაგონებენ იმას, რაც საფრანგეთში ხდებოდა ჰიტლერული ოკუპაციის დროს. მაშინ იურიდიულ საქმეებს აძლევდნენ ნაცისტ ხელისუფლებსა და მათ ჟურნალისტებს, რომლებიც ამ საქმეებს ყველაფერს უშვრებოდნენ, რაც სურდათ. ახლა ჩემს დოსიეს აძლევენ ამერიკელ ხელისუფლებს და მათს სამსახურში მყოფ ჟურნალისტებს. ეს შუქს ჰფენს ყოველივე იმას, რაც შეეხება ოპერაციას, რომელსაც ჩემს წინააღმდეგ ახორციელებს მთავრობა, რომლის მეთაურია პეტენის ყოფილი მრჩეველი პინეი".

დასასრულ ჟაკ დიუკლო მოითხოვს მოხდეს გამოძიება შემდეგი საკითხების გამოსარკვევად:

—რა გზით მიიღო ამერიკის სააგენტომ თავის განკარგულებაში უბის წიგნაკი, რომელიც დიუკლოს წაართვეს და დღემდე მისთვის არ დაუბრუნებიათ?

— რატომ არ არის აღძრული დევნა პოლიციის მოხელის ვერდავენის წინააღმდეგ, რომელმაც პორტფელი წაართვა დიუკლოს?

— რატომ არ მოძებნეს ის, ვინც პორტფელიდან გაიტაცა 30 ათასი ფრანკი?

— რატომ არ შეეცადნენ გამოერკვიათ იმ „უცნობის" ვინაობა, რომელმაც დიუკლოს პორტფელი ვითომ მიიტანა პარიზის მე-10 ოლქის პოლიციის კომისარიატში?

— არის თუ არა საფრანგეთის სასამართლოს მოხელეთა თანამდებობრივი დანაშაულის შედეგი ის, რომ დიუკლოს დოსიე გადაეცა ამერიკის სააგენტოს, და კონკრეტულად რომელი მათგანი მოისყიდა ამერიკის სააგენტომ?

## ანდრე სტილის განთავისუფლება საპყრობილიდან

**პარიზი,** 18 ივლისი. (საკდესი). დღეს საღამოს პარიზის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებლო პალატის გად'უწყვეტილებით საპყრობილიდან გაათავისუფლეს გაზეთ „ლუმანიტეს" მთავარი რედაქტორი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მწერალი ანდრე სტილი.

**პარიზი,** 18 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ანდრე სტილმა დაახლოებით 19 საათზე გრინვიჩის დროით დატოვა საპყრობილე „სანტე", სადაც იგი იმყოფებოდა 25 მაისიდან მას შემდეგ, რაც გაზეთ „ლუმანიტეში", რომლის მთავარი რედაქტორი იგი არის, გამოქვეყნდა სტატიები, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებდნენ მონაწილეობა მიეღო 28 მაისის დემონსტრაციაში. ეს დემონსტრაცია მთავრობამ აკრძალა, როგორც მანიფესტაცია, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო პარიზში გენერალ რიჯუეის ჩამოსვლის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

18 საათსა და 30 წუთზე გრინვიჩის დროით საგამომძიებლო პალატამ, რომლის სხდომას თავმჯდომარეობდა დიუპენი, მიიღო გადაწყვეტილება ანდრე სტილის დროებით განთავისუფლების შესახებ.

სააგენტო დასძენს, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ანდრე სტილს კვლავ ბრალად ედება „სახელმწიფოს საშინაო უშიშროების ხელყოფა" და „ძალადობის წაქეზება".

## დანიელი ხალხი პროტესტს აცხადებს დანიაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების განლაგების წინააღმდეგ

**კოპენჰაგენი,** 18 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკის" ცნობით, ნავსადგურის მუშათა პროფკავშირის გამგეობამ დანიის მთავრობას გაუგზავნა მიმართვა, რომლითაც მოუწოდებს არ მისცეს ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხედრო ბაზები დანიის ტერიტორიაზე.

„ჩვენ, — ნათქვამია მიმართვაში, — არა გვსურს არც ამერიკისა და არც სხვა რომელიმე უცხო ქვეყნის ჯარები დანიის ტერიტორიაზე. ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და კეთილდღეობის ინტერესებისათვის ჩვენ გვინდა მშვიდობიანი დამოკიდებულება და ნორმალური ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა შევინარჩუნოთ ყველა ქვეყანასთან".

ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების დანიაში განლაგების წინააღმდეგ და დანიის ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ბაზების შექმნის წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განაცხადეს შინ გაგზავნის წინ ჯარისკაცებმა, რომლებიც სამი კვირის სამხედრო გადამზადებას გადიოდნენ „ეგერსპრისის" ბანაკში.

პროტესტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ დანიის მთავრობა თავისი მოქმედებით არღვევს წინანდელ დაპირებებს, რომ დანიის ტერიტორიაზე არასოდეს არ იქნება განლაგებული სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალები.

შემდეგ პროტესტში ნათქვამია, რომ დანიის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების განლაგება შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც დანიის ეროვნულ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა.

## ირანის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა კავამ-ეს-სალტანე

**თეირანი,** 18 ივლისი. (საკდესი). ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ დღეს შაჰმა კავამ-ეს-სალტანე დანიშნა ირანის პრემიერ-მინისტრად.

# კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 18 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 18 ივლისს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე ჩვენი შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობდნენ ზურგის რაიონებზე თავდასხმებში.

## სინხუას სააგენტო ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ამერიკის ავიაციის თვითმფრინავთა შეჭრის შესახებ

**პეკინი,** 18 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი მუკდენიდან იუწყება:

ხუთი დღის განმავლობაში — 12-დან 16 ივლისამდე ჩათვლით — კორეაში მყოფი ამერიკის აგრესიული ძალების 489 თვითმფრინავი 93 ჯგუფად შეიჭრა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, სადაც აწარმოებდა სროლასა და დაზვერვას. ეს თავდასხმები უშუალოდ მოჰყვა ამერიკის ავიაციის 11 ივლისის თავდასხმას ანდუნზე, რის შედეგად მოკლულ და დაჭრილ იქნა 52 ჩინელი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ მტკიცე პროტესტი განაცხადა ამერიკელთა 11 ივლისის პროვოკაციის წინააღმდეგ, რომელიც აშკარა აგრესიაა ჩინეთის მიმართ. მაგრამ შეერთებული შტატების მთავრობას ოდნავი სინანულიც კი არ გამოუთქვამს ამ ინციდენტის გამო. პირიქით, ამერიკის მთავრობა თავისი თავდაცვის სამინისტროს მეშვეობით უარყოფს ამ სერიოზულ დანაშაულს, რომელიც გამოიხატება ჩინეთის საჰაერო სივრცის დარღვევით და ჩინელ მოქალაქეთა მოკვლითა და დაჭრით. უფრო მეტიც, ამერიკელებმა გააძლიერეს თავიანთი პროვოკაციები. ისინი ზედიზედ 5 დღეს 16 ივლისამდე გზავნიდნენ განსაკუთრებით ბევრ თვითმფრინავს, რომლებიც განაგრძობდნენ ჩინეთის საჰაერო სივრცის დარღვევას და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ბენსის აღმოსავლეთით მდებარე ჩუანშუიხეს რაიონამდეც კი მიაღწიეს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ამერიკის მთავრობა წინასწარი განზრახვით ქმნის კიდევ უფრო სერიოზულ მდგომარეობას შორეულ აღმოსავლეთში იმ მიზნით, რომ ჩაფუშოს მოლაპარაკება დაზავების შესახებ და გააფართოოს თავისი აგრესიული ომი, რათა საფრთხე შეუქმნას აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

მთელი ჩინელი ხალხი აღაშფოთა ამ ბარბაროსულმა დანაშაულმა, რაც ჩაიდინეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც განზრახ არღვევენ ჩინეთის საჰაერო სივრცის წმიდა სუვერენიტეტს. ჩინელი ხალხი მტკიცედ და ერთსულოვნად უჭერს მხარს საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადებას. ჩინელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს მანამდე, სანამ ჩაიფუშებოდეს ამერიკელი იმპერიალისტების პროვოკაციები. ამერიკელი აგრესორები მოიმკიან თავიანთი საზიზღარი დანაშაულობათა მწარე ნაყოფს.

## რიგითი სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ კომუნისტებთან მოქმედების ერთიანობას გერმანიის ერთიანობისათვის ბრძოლაში

**ბერლინი,** 17 ივლისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო მაინის ფრანკფურტიდან იუწყება:

„სოციალისტური მოქმედების ჯგუფის" ცენტრალური საბჭოს მიწვევით მთელი დასავლეთ გერმანიიდან 12 ივლისს მანჰაიმში შეკრებილმა სოციალ-დემოკრატებმა მოიწონეს 12 პუნქტისაგან შემდგარი პროგრამა, რომელშიც წამოყენებულია მოთხოვნა — დამყარდეს მოქმედების ერთიანობა გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან, დამხობილ იქნას ადენაუერი და ოთხ სახელმწიფოს შორის მოეწყოს მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე. მოქმედების პროგრამა უნდა წარედგინოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობას, რომელიც სექტემბერში გაიმართება დორტმუნდში. პროგრამა მოიწონა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძირეული, რაიონული და სამხარეო ორგანიზაციების ბევრმა ხელმძღვანელმა მოღვაწემ.

პროგრამა მოითხოვს პარლამენტის გარეთ მოეწყოს ბრძოლა ადენაუერის სამხედრო პაქტების წინააღმდეგ კრებების, საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის, დემონსტრაციებისა და გაფიცვების ფორმით. პარტიამ, ნათქვამია პროგრამაში, მთელი ძალღონე უნდა იხმაროს, რათა მიაღწიოს მოლაპარაკებას ოთხ სახელმწიფოს შორის, უნდა შეწყვიტოს აღმოსავლეთის წინააღმდეგ ცილისწამების კამპანია და იზრუნოს იმისათვის, რომ საოკუპაციო რეჟიმი შეიცვალოს სამართლიანი საზავო ხელშეკრულებით. პარტიამ უნდა გამოაქვეყნოს საბრძოლო ფურცლები ადენაუერის წინააღმდეგ, ნეოფაშიზმისა და საერთო ხელშეკრულების წინააღმდეგ.

შემდეგ პროგრამა მოითხოვს საბრძოლო ერთიანობას ადენაუერის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა მოწინააღმდეგესთან და უწინარეს ყოვლისა კომუნისტებთან, აგრეთვე ბრძოლას შუმანის მილიტარისტული გეგმის წინააღმდეგ, „მწვანე გეგმის" (ევროპის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის შექმნის გეგმა. **რედ. შენიშვნა**) წინააღმდეგ, ტერორისტულ დადგენილებათა წინააღმდეგ. პროგრამის ავტორები მოითხოვენ, რომ არ იქნას მიღებული ადენაუერის მიერ მომზადებული საარჩევნო კანონი, რომლის მიზანია მუშათა პარტიები ჩააყენოს არახელსაყრელ მდგომარეობაში; ისინი მოითხოვენ ყველა ფაშისტური და პროფაშისტური ორგანიზაციის აკრძალვას, გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვაზე უარის თქმას, მრეწველობის ძირითადი დარგების, ბანკების, სადაზღვევო საზოგადოებების ნაციონალიზაციას, მიწის რეფორმის განხორციელებას და გეგმიანი მეურნეობის საფუძველზე მშვიდობიანი მრეწველობის განვითარებას. პროგრამის უკანასკნელ პუნქტებში წამოყენებულია საგადასახადო სისტემის რეფორმისა და სკოლის რეფორმის მოთხოვნა.

## ვენის მშრომელთა მიტინგი მშვიდობისათვის მებრძოლთა დასაცავად

**ვენა,** 17 ივლისი. (საკდესი). გუშინ ვენაში გაიმართა ავსტრიის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ამერიკელი საოკუპაციო ხელისუფალნი სდევნიან მშვიდობისათვის მებრძოლთ. მიტინგის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ პრეზიდიუმში ცამეტი ავსტრიელი პატრიოტის გამოჩენას, რომლებიც სამი კვირის წინათ დააპატიმრეს ამერიკელთა ბრძანებით იმისათვის, რომ ისინი ავრცელებდნენ ფურცლებსა და პლაკატებს ვენაში აჩესონის ჩამოსვლის წინააღმდეგ. საზოგადოებრიობის ზეგავლენით ისინი 15 ივლისს გაათავისუფლეს საპყრობილიდან.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ავსტრიის კომპარტიის ვენის ორგანიზაციის მდივანმა ლაუშერმა. მან აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს ამერიკელმა საოკუპაციო ხელისუფლებმა და ავსტრიის რეაქციამ გააძლიერეს მშვიდობის მომხრეთა დევნა. მშვიდობისათვის მებრძოლთა დევნა, თქვა ლაუშერმა, ომის ამერიკელი გამჩაღებლების დანაშაულობათა ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია. ისინი ბაქტერიოლოგიურ იარაღს იყენებენ კორეასა და ჩინეთში, ჰაერიდან სპობენ კორეელ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს. მათი მითითებით ეწყობა ბინძური შეთქმულება საფრანგეთის კომპარტიის წინააღმდეგ, აპატიმრებენ მშვიდობის მომხრეებს. მათ სძულთ ისინი, ვისაც მშვიდობა უყვარს და მშვიდობის საქმეს იცავს.

ავსტრიის მთავრობა, განაგრძო ლაუშერმა, მორჩილი იარაღია ამერიკელთა ხელში. იგი მოქმედებს ავსტრიელი ხალხის ნების წინააღმდეგ და უსიტყვოდ ასრულებს ვაშინგტონის ყველაზე საზიზღარ მითითებებსაც კი. იგი ცდილობს ამერიკის კოლონიად გადააქციოს ჩვენი ქვეყანა და მთელი ძალღონით უწყობს ხელს დასავლეთ ავსტრიის მილიტარიზაციას.

მაგრამ ჩვენს ხალხს სურს მშვიდობიანად იცხოვროს. იგი მტკიცე პროტესტს აცხადებს საომარი მზადების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელი საოკუპაციო ხელისუფალნი და ავსტრიის რეაქცია აძლიერებენ მშვიდობისათვის მებრძოლთა დევნას. ავსტრიის მშრომელებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს—მძლავრი საპროტესტო მოძრაობის მეოხებით საპყრობილიდან გაათავისუფლეს მშვიდობისათვის ყველა მებრძოლი.

დასასრულ ლაუშერმა მოუწოდა დამსწრეთ განამტკიცონ მშვიდობისათვის ბრძოლის დიადი ფრონტი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მშვიდობისათვის მამაცმა მებრძოლმა იოჰან მანმა, რომელიც დაახლოებით სამ კვირას იჯდა საპყრობილეში პლაკატებისა და ფურცლების გავრცელებისათვის, რომლებიც მოუწოდებდნენ მშვიდობის დაცვისაკენ.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე მშვიდობის მომხრენი ბეტინა ჰექსმანი, ზაქსინგერი და სხვები.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა მოუწოდეს ავსტრიის მოსახლეობას გააძლიეროს ბრძოლა მშვიდობისათვის, ამერიკელების მიერ მშვიდობის მომხრეთა დევნის წინააღმდეგ. მიტინგზე მიღებულ იქნა აგრეთვე მშვიდობისათვის მამაცი მებრძოლის ანდრე სტილისადმი სოლიდარობის დეპეშა, რომელიც შეიცავს მოთხოვნას დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ანდრე სტილი საპყრობილიდან.

## გაიხსნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სესია

**ბუქარესტი,** 19 ივლისი. (საკდესი). გუშინ ბუქარესტში მუშაობა დაიწყო ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მე-13 სესიამ.

სესია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა რუმინეთის დემოკრატ ქალთა კავშირის თავმჯდომარემ კონსტანცა კრეჩუნმა.

დამტკიცებულია სესიის მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი: 1) მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებანი, 2) ქალთა ეროვნული ორგანიზაციების ამოცანები ქალთა თანასწორუფლებიანობის დაცვის საქმეში, 3) ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის შედეგები და ბავშვთა დაცვისათვის მუშაობის გაძლიერების ამოცანები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ეჟენი კოტონმა, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

## სტიქიური უბედურება იაპონიაში

**ტოკიო,** 19 ივლისი. (საკდესი). გუშინ კანსაის რაიონში ძლიერი მიწისძვრა მოხდა.

წინასწარი ცნობებით, დიდი წვიმების შედეგად, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთ იაპონიაში იყო, წყალმა დაფარა 1.000-მდე სახლი და 7.400 ჰექტარი ნათესები. არის მსხვერპლი მოსახლეობაში.

## XV საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობის გახსნის წინ

**ჰელსინკი,** 18 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში მუშაობას განაგრძობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესი. კონგრესზე განიხილავდნენ კომიტეტის წევრად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღების საკითხს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ნ. რომანოვმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ყველა უფლება აქვს გახდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მაიერმა დღეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესს ჯერჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია.

**ჰელსინკი,** 18 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში გაიხსნა მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. ფინეთის მთავრობის დავალებით კონგრესი გახსნა პრემიერ-მინისტრმა ურხო კეკონენმა, რომელიც 19 წლის განმავლობაში იყო ფინეთის ხასპორტო კავშირის თავმჯდომარე.

**ჰელსინკი,** 18 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში გაიხსნა მოჭიდავეთა საერთაშორისო სასპორტო ფედერაციის კონგრესი.

კავშირის მრავალი წლის თავმჯდომარემ ვიქტორ სმედსმა (ფინეთი) განაცხადა, რომ იგი ტოვებს ამ პოსტს და დაასახელა ფედერაციის ახლანდელი გენერალური მდივნის როჟერ კულონის (საფრანგეთი) კანდიდატურა, რომელიც არჩეულ იქნა თავმჯდომარედ.

ფედერაციის ახალ გენერალურ მდივნად არჩეულია მიშელ პასკალი (საფრანგეთი).

ფედერაციის ახლად არჩეული პრეზიდიუმის წევრებს შორის არიან სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ეგვიპტის, თურქეთისა და ფინეთის წარმომადგენლები.

**ჰელსინკი,** 18 ივლისი. (საკდესი). დღეს გრძელდებოდა ოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრება კალათბურთში.

კუბის გუნდმა მოუგო ბელგიის გუნდს (71:63). უნგრეთის კალათბურთელებმა ანგარიშით 47:44 დაამარცხეს საბერძნეთის კალათბურთელები და იტალიის გუნდმა წააგო ეგვიპტის კალათბურთელებთან (66:62).

**ჰელსინკი,** 18 ივლისი. (საკდესი). ხვალ დილით ჰელსინკში გაიმართება საბჭოთა ტანმოვარჯიშეების (ვაჟების) პირველი გამოსვლა.

ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიურ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ 29 სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები.

ყველა ტანმოვარჯიშე დაყოფილია სამ ქვეჯგუფად. საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშენი გამოდიან იმ ქვეჯგუფში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ შვეიცარიის, იუგოსლავიის, ფინეთის, იაპონიისა და კუბის (კომბინირებული გუნდი), საფრანგეთისა და შვეციის ტანმოვარჯიშენი.

**ჰელსინკი,** 18 ივლისი. (საკდესი). როგორც საღამოს გაზეთები აღნიშნავენ, XV საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაზე მძლეოსანთა შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 1.052 კაცი, მათ შორის 854 ვაჟი და 198 ქალი.

მცურავეთა შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 650 სპორტსმენი, ფეხბურთში — 477, ნიჩბოსნობაში — 464, ტანვარჯიშში — 371, ჭიდაობაში — 356, კალათბურთში — 366, კრივში — 295 და სხვ.

ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეთა საერთო რიცხვი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, 5.870-ს შეადგენს.

## ინგლისელი მწერლები საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

**ლონდონი,** 19 ივლისი. (საკდესი). ინგლისელ ლიტერატორთა ჯგუფმა, რომელიც სსრ კავშირში მოგზაურობის შემდეგ ეს-ეს არის ინგლისში დაბრუნდა, მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ მეტი წილი ინგლისური გაზეთების წარმომადგენელნი.

პრეს-კონფერენციაზე გამოქვეყნდა განცხადება, რომელიც ჯგუფმა გააკეთა მოსკოვიდან გამომგზავრების წინ. ამ განცხადებაში ჯგუფის წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნისას მათ არ უნახავთ საომარი მზადების არავითარი ნიშანი და არ გრძნობდნენ სამხედრო ატმოსფეროს.

დასასრულ განცხადებაში ნათქვამია: „ცხადია, რომ რუსი ხალხი თავის მთავარ ენერგიას ახმარს მშენებლობის მშვიდობიან გეგმებს".

ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ დელეგაციის მეთაურმა მწერალმა კოპარდმა დაახლოებით ერთი საათი მოანდომა კითხვებზე პასუხის გაცემას.

მწერალმა ქალმა მიტჩისონმა, რომელიც 20 წლის წინათ იყო საბჭოთა კავშირში, განაცხადა, რომ მას შემდეგ საოცარი ცვლილებები მოხდა. კერძოდ, მან განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა წიგნის პროდუქციის მაღალი ხარისხი.

მიტჩისონმა განაცხადა, რომ საბჭოთა საბავშვო წიგნების შინაარსი მშვიდობიანი ხასიათისაა. მწერალმა ქალმა დორის ლესინგმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი იცნობს და კითხულობს ინგლისურ ლიტერატურას და მოიყვანა იმ ინგლისელი ავტორების სია, რომელთა ნაწარმოებებს კარგად იცნობს საბჭოთა მკითხველი. მან აღნიშნა აგრეთვე სასკოლო ლიტერატურის მაღალი ხარისხი საბჭოთა კავშირში. ლესინგმა აღტაცებით მოიხსენია მოსკოვის ახალი საბინაო მშენებლობის მასშტაბი და ხარისხი. მწერალმა მეისონმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში ფართო კამპანია წარმოებს მშვიდობის დასაცავად.

დორის ლესინგმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა თეატრს. დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა თეატრები მაყურებლებით არის გაჭედილი.

დიდი დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ჯგუფის წევრებზე საბჭოთა მწერლების ცხოვრებისა და მუშაობის პირობებმა.

ჯგუფის წევრმა დუგლას იანგმა თქვა: „საბჭოთა მწერლები გრძნობენ, რომ ხალხთან ერთად არიან. მათ მიაჩნიათ, რომ წიგნებს წერენ ხალხისათვის და არა თავისთვის".

## ინგლისში შეამცირეს ერბო-კარაქის გაცემის ნორმები

**პარიზი,** 19 ივლისი. (საკდესი). როგორც პარიზის რადიო იუწყება, 10 აგვისტოდან ინგლისში ერბო-კარაქის გაცემის ყოველკვირეული ნორმა, რომელიც ახლა ცოტათი აღემატება 80 გრამს, შემცირდება 57 გრამამდე.



სურათზე: ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივის მოკრივეთა სექციაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## დღეს, 20 ივლისს

დღეს თბილისში ფიზკულტურელის საკავშირო დღის აღსანიშნავად ჩატარდება მთელი რიგი სპორტული შეჯიბრებები:

**საღამოს 5 საათზე** დედაქალაქის ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების ნაკრები გუნდების მონაწილეობით მოეწყობა ესტაფეტა. ესტაფეტის მონაწილეთა სტარტი შედგება ბერიას მოედანზე, ხოლო ფინიში — „დინამოს" სტადიონზე.

**კიროვის პარკში** დილის 11 საათზე დაიწყება ფრენბურთელთა და კალათბურთელთა შეჯიბრება თბილისის ფაბრიკა-ქარხნების გუნდებს შორის პირველობისათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 40-მდე გუნდი. მთავარი მსაჯები არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ძეკონსკი და ნ. ზნამენსკი.

**ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში** საღამოს 8 საათზე მოეწყობა ამხანაგური შეხვედრა კრივში. ერთმანეთს შეეჯიბრებიან „პიშჩევიკისა" და „სპარტაკის" მოკრივეთა ნაკრები გუნდები. შეჯიბრებას უხელმძღვანელებენ მ. ბერიევი და გ. ჯანაშია.

**დილის 11 საათზე საჭადრაკო კლუბში** გაიმართება დედაქალაქის უძლიერეს მოჭადრაკეთა შეხვედრები. ამავე დროს სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (ფუნიკულიორზე) ჭადრაკის ოსტატობის კანდიდატები ჩაატარებენ ერთდროული თამაშის სეანსებს.

**ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე** საღამოს 6 საათზე გაიმართება ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება. ერთმანეთს შეხვდებიან ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი და თბილისის „დინამოს" დუბლიორები.

დღეს თბილისში დაბრუნდება თბილისის ავტომოტოკლუბის მიერ მოწყობილი ავტოგადარბენის მონაწილეთა კოლონა.

5 საათსა და 30 წუთზე „დინამოს" სტადიონზე შედგება გადარბენის მონაწილეთა ფინიში.

აქვე მოხდება გადარბენის მონაწილეთა დაჯილდოება.

**საღამოს 6 საათზე ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის** საჩოგბურთო მოედანზე მოეწყობა უძლიერეს ჩოგბურთელთა შეჯიბრება და დედაქალაქის ყველა სასპორტო მოედანზე შედგება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების გამოსვლები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

**სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (ფუნიკულიორის პლატო)** დღეს ეწყობა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი მასობრივი სეირნობა.

ესტრადაზე გაიმართება სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი. სალექციო დარბაზში წაკითხულ იქნება ლექცია თემაზე — „ფიზკულტურელის საკავშირო დღე". სასპორტო მოედნებზე — ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთსა და კალათბურთში. საჭადრაკო დარბაზში მოეწყობა ერთდროული სეანსი 10 დაფაზე.

## საქართველოს ინდივიდუალური პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის

ამას წინათ ბათუმში მოეწყო შეჯიბრება ჭადრაკში საქართველოს 1952 წლის ინდივიდუალურ პირველობაზე მოსწავლეთა შორის. მასში მონაწილეობა მიიღო თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირის და ფოთის თერთმეტმა ახალგაზრდა მოჭადრაკემ.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე თამაზ კალატოზიშვილი, რომელმაც 10 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა. თ. კალატოზიშვილს მიენიჭა საქართველოს 1952 წლის ჩემპიონის წოდება მოსწავლეთა შორის.

მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ზვიადაძე (თბილისის მეშვიდე რკინიგზის სკოლა), რომელიც ჩემპიონს ნახევარი ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი დაიკავა სოხუმელმა ვ. შეტნიოვმა. კარგად ჩაატარეს შეჯიბრება თ. დგებუაძემ (ბათუმი), ჯ. ქარჩხაძემ (ქუთაისი) და ვ. სმოლინმა (ფოთი).

გოგონებს შორის გაიმარჯვა ლ. ხაჭაპურიძემ, ხოლო მეორე ადგილი დაიკავა ლ. აბულაძემ (ორივე თბილისელია).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩამოყალიბდა რესპუბლიკის მოსწავლე-მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი, რომელშიც შევიდა 5 ჭაბუკი და ერთი გოგონა. რესპუბლიკის ნაკრები გუნდი მონაწილეობს საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაში, რომელიც დაიწყო დონის როსტოვში 16 ივლისს.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი** — მოწინავე — მაღლა ავწიოთ საბჭოთა სპორტის დროშა.

საერთო სათაურით „1952 წლის მოსავალი" წერილები: ს. ოქრუაშვილი — ავკრიფოთ თავთავი კომბაინის კვალდაკვალ. საათობრივი გრაფიკით.

საბჭოთა კავშირში.

**მეორე გვერდი** — ბ. კვინიხიძე — ფიზიკური კულტურის მასობრიობისა და მაღალი სპორტული ოსტატობისათვის. გ. მერკვილაძე — აღმოვფხვრათ სპორტული მუშაობის ნაკლოვანებანი.

კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლი.

ვ. იანვარაშვილი — მეცნიერთა კავშირი წარმოებასთან.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

**მესამე გვერდი** — ჩვენი მძლავრი სამშობლო. ლიტერატურა და ხელოვნება.

აღმოსავლეთის ქვეყნებში — მალაიელი ხალხის ბრძოლა.

ფელეტონი — ს. სარაული — იუბილარის სასარგებლოდ.

**მეოთხე გვერდი** — დღიური — ს. ღერბინი — მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

### 21 ივლისს

**რადიოსადგურებით 1.571 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით**

06.25 ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი; 07.30 — ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებები; 09.20 — კარელურ-ფინური და მოლდავური ხალხური სიმღერები და საცეკვაოები; 11.00 — საუბარი; 11.10—ალიაბიევის საფორტეპიანო ტრიო.

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით**

17.15 — კონცერტი რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან; 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — ბრამსის სიმფონია დო-მინორი; 19.20 — ნაწყვეტები საბჭოთა კომპოზიტორების ოპერებიდან; 19.45 — საუბარი: „საერთაშორისო თემაზე".

**რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით**

20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის შოთა თაბუკაშვილის კონცერტი; 20.45 — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების დები იშხნელების კონცერტი; 21.11 — საუბარი: „სოციალისტური სახელმწიფოს კანონების დაცვა ყველა საბჭოთა მოქალაქის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა"; 21.20 — კამერული მუსიკის კონცერტი; 00.05 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

დედა ოლღა, ძმა გაბო, რძალი მანია, ძმისწულები მერი, იუზა, გივი, დები ქსენია, შუშანა, ნინა შვილებით, სიძე ს. შარიქაძე, ბიძაშვილები პავლე, შამშე ხარატიშვილები იუწყებიან **ანა გულასპის ასულ ხარატიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII ს. ლაშეში (ორჯონიკიძის რ.).

ბიცოლა გაიანე, ბიძა სარდიონ, ბიძაშვილი ელგუჯა ლებანიძეები, ქრისტინე და გივი გურამიშვილები იუწყებიან **მარგარიტა თედორეს ასულ სხირტლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-VII, 7 ს. გამოსვენება 22-VII, მუზეუმის, 12.

დედა ნადია, მეუღლე ალიოშა, შვილები გოჩა, გელა ჩინჩალაძეები, დები ბაბუცა, ალექსანდრა, ძმა ბიძინა ყორყოლიანები იუწყებიან **მარგარიტა ალექსანდრეს ასულ ყორყოლიანი-ჩინჩალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII, ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, წულუკიძის, 20.

შვილები თეო, ანეტა, ნინო, ვალია, ვენერა ლომჯარიები, სიძეები ვ. რუსეიშვილი, შ. ტუღუში, ს. ბურჭულაძე, ა. ურუშაძე შვილებით იუწყებიან **მარო ლაზარეს ასულ მუჯირი-ლომჯარიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII ჭანიეთში (მახარაძის რ.).

ხაშურის რაიონის მედიცინის მუშაკები იუწყებიან **ნუგზარ მამუკას-ძე ცქიტიშვილის** გარდაცვალებას.

სიდედრი ეკატერინე, სიმამრი ნიკოლოზ, ცოლისდები მარიამ ოჯახით, ვერა, ნატაშა, ქეთო, ანა შვილებით, ცოლისძმა ვასილ ბერბიჭაშვილი ოჯახით იუწყებიან სიძის **იროდიონ ნიკოლოზის-ძე მჭედლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6 ს. კოდორის, 4.

თბილისის № 23 აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან **იროდიონ ნიკოლოზის-ძე მჭედლიშვილის** გარდაცვალებას.

ძმა ნიკოლოზ, დები ნ. შარაშენიძე, მ. თევზაძე, ძმისწულები მერი, გივი, დისწული აბიბო იუწყებიან **ელენე მოსეს ასულ თევზაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VII, 8 ს. ვერცხლის, 20.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, უოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03644